საერთო გაზეთი

№13 (790)
ოთხშაბათი
9 აპრილი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.



მერაბ კოსტავა ქართული საზოგადოების სინდისი იყო

კვირიდან კვირამდე

გელა ზედელაშვილის პოზიცია

დაუსრულებელი „პრაშმანდოვკები“ და კაცები!

ეკლესიასთან ორი კაცი დგას, გოგა ხაინდრავა და ვატო შაქარიშვილი. ორი კაცი-მეთქი, ვამბობ ხაზგასმით. ყველა კაცი ხომ არ არის, ვისაც შარვალი აცვია? ჰოდა, ამ ორ კაცთან მიდის ერთი დაუსრულებელი „პრაშმანდოვკა“. ამ ქვეყანაში ბევრი „პრაშმანდოვკაა“, ზოგი დაუსრულებელია, ზოგიც დასრულებული. მათ შორის დიდი არა, მაგრამ მაინც არის სხვაობა. მიდის ეს „დაუსრულებელი“ კაცებთან და ეკითხება, თქვენ ვატო ხართო, შაქარიშვილი? თქვენ გოგა ხართო, ხაინდრავა? თქვენ მონები ხართო, მონებიო!

ამათ, ამ კაცებმა - „დავაი“, ეხლა აქედანო და ამოაპანღურეს.

- პოლიციაააა... პოლიციაააა... პოლიციააააააა! - დაიწყო ჯღნავილი იმან, იმ დაუსრულებელმა, რომელიც მანამდე პოლიციელებსაც მონებს ეძახდა.

ვინ არის ეს დაუსრულებელი „პრაშმანდოვკა“?

ვინმე გიორგი მამნიაშვილი ყოფილა, ე. წ. „მთავარი არხის“, უფრო სწორად, „ნიკუტავიზიის“ ე. წ. ჟურნალისტი.

ვატო შაქარიშვილმა თავის „ფეისბუკგვერდზე“ დაწერა, ვიღაც მუდრეგი მოგვიხტა, შეურაცხყოფა მოგვაყენა და მიიღო კიდევაც კბილებშიო.

წავიდა ის დაუსრულებელი ჯღნავილით, ჩამოურიგა „ინტერვიუები“ „ტვ უბორნიებს“ რაღაც უცნაური ხმით (რომელი ცხოველის ხმა აქვს, ვერ გავარკვიე), ხაინდრავა და შაქარიშვილი თავს დამესხნენო. მოგვიანებით გამოაცხადეს, მამნიაშვილს ტვინის შერყევა აქვსო. დაამძიმებენ ახლა მიხოსავით, რამდენიმე დღეში იტყვიან, 57 სახის დაავადება აღმოაჩინდაო.

როცა კარგად შეღამდა, გოგა ხაინდრავას მიუხტნენ „პრაშმანდოვკები“, ათიოდე იქნებოდნენ, ღობეს კვერცხები დაუშინეს, თან ყვიროდნენ: ხაინდრავა, მონაააა! ხაინდრავა, მონაააა! ხაინდრავა, მონააააა!

ხაინდრავამ ღობის იქიდან წყლის „შლანგი“ გამოყო და მიუშვა. დაიფანტნენ. წავიდ-წამოვიდნენ ფლასიანებივით.

მეორე დღეს თავისუფლების მოედანზე ისევ დახვდნენ ვატოს და გოგას უცნაური არსებები და დაუწყეს საქმის გარჩევა, სუ ფარისევლები ეძახეს... თქვე ასეთებო და ისეთებოო, ბავშვებს რატომ სცემთ, მონებოო?!

ისევ მონებოო!

ვატომ - გუშინ ჭკუა ვერ ისწავლეთო? ისევ გინდა კბილებშიო?

ამათ - თქვე ასეთებო და ისეთებოო, თქვე მონებოო!

„პრაშმანდოვკებს“ არაფერი ესმით, ეგრე არიან დატრენინგებულები, არაფერი არ უნდა ესმოდეთ, არავის არ უნდა უსმენდნენ, როგორც დააპროგრამეს, ისე უნდა უბერონ, თუ მოახერხებ და სიტყვას ჩააკვეხებ, კაი ბიჭობაა. თან ისეთ ხმებს გამოსცემენ, ვერ გაიგებ, ვინ ჭყვიტინებს და ჯღნავის, გოგო თუ ბიჭი. შეხედავ, ულვაშები აქვს - ქალის ხმაზე ჯღნავის... შეხედავ, ქალივით არი - კაცივით კი იგინება.

პატივცემულო ხელისუფლებავ, ეს ამბები ასე არ ჩაივლის, დღეს თუ ხვალ ვიღაცა აუცილებლად ემსხვერპლება, ვიღაცას აუცილებლად უმტყუნებს ნერვები და მერე დაიწყება - რათაო?

იმათა, იმათა!

ყურუებმა ბირჩ ზურაბას უგანეს!

ბორის ჩელე ყურუამ და ცოტნე კობერიძე ყრუმ „გირჩი - მეტი თავისუფლება“ დატოვეს. გირჩმა ზურაბამ მათ მადლობა გადაუხადა - მადლობელი ვარ, ჩემთან რომ იყავითო. ტიპებს პარლამენტარობა სწყუროდათ, ამაზე ოცნებობდნენ, ე. წ. „კოალიცია ცვლილებებისთვის“ სიით შეიყვანეს კიდეც საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ იქ დარჩენის უფლება არ მისცეს. აეგრე, „ქართულ ოცნებას“ ლეგიტიმაცია არ უნდა მივანიჭოთო, - შემოუთვალეს ბოსებმა ბოზების პირით და ესენიც დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულები.

რა უნდა ქნან ახლა ჩელე ყურუამ და მურვან ყრუმ კი არა და... ცოტნე ყრუმ? ამ უკანასკნელს შალვა რამიშვილმა „კუტა ბიჭი“ შეარქვა. ერთნი ამბობენ, რომ ესენი „ნაცებში“ განითესებიან, მეორენი ამტკიცებენ, საკუთარ პარტიას ჩამოაყალიბებენ და უმრავლესობით მოსვლას დააანონსებენო. რასაკვირველია, თუ პარტიას შექმნიან, როგორც წესი, ჯერ ბიძინას დაუწყებენ გინებას (ისედაც არ აკლებენ, მაგრამ რაღაც ორიგინალურს მოიფიქრებენ), გამოაცხადებენ, უმრავლესობით მოვდივართო, მერე ჩაიფეხვებიან და დაიწყებენ ჯღნავილს, გაგვიყალბესო. ეგრე დაემართა ბევრს ამ მზიურ საქართველოში, ბევრს აერია გონება და გზა-კვალი, ბევრმა წარმოიდგინა, რომ ყველა მაგათზე ლოცულობდა, მაგრამ მოტყუვდნენ. ასეთია ყურუების მომავალი, წვეთი არ გაუვა. რავი, კაცო, ხალხი ძლივს მოხვდა პარლამენტში და პირველივე ჯერზე გააცუცურაკეს. ამაზეა ნათქვამი, ეხლა გინდა შადი, გინდა - გადი, რაღა მნიშვნელობა აქვს?!

●

სკინტლის სკანდალი

ამას წინებზე სადღაც დაწერეს, ყვარელში ძროხებს ქათმის სკინტლს აჭმევდნენ და ასე გვწამლავდნენო. თავიდან ხუმრობა მეგონა, თანაც უკბილო ხუმრობა. მერე კი ისე აგორდა და გადიდდა თოვლის გუნდასავით სკინტლის სკანდალი, მთელი საქართველო მოიცვა. აი, ახლა გადავხედე ისტორიას, რომელიც ამ სკანდალს შესავალივით ჰქონია და აღარ მეცინება, აშკარაა, საქმე გვაქვს ვიღაცის მიზანმიმართულ ჩაძირვასთან. ეს ვიღაცა კი ლაშა პაპაშვილი აღმოჩნდა, ამ ხელისუფლების მომხრე ბიზნესმენი.

ესე იგი, ყვარელში პაპაშვილს ჰქონია მეძროხეობის ფერმა, რომლის სახელწოდებაც ყოფილა „ყვარლის ბაგა“ (არც ვიცოდი, ან კი რატომ უნდა მცოდნოდა?), იგი სკინტლს ყიდულობდა მექათმეობის ფერმა „ბიუ-ბიუ“-დან, აჭმევდა ძროხებს, მერე ამ ძროხებს წველიდა და რძეს აბარებდა „სანტეს“, „სოფლის ნობათს“ თუ მარკეტებში გამტან სხვა კომპანიებს. „სანტეს“ „უმფროსობა“ აცხადებს, ჩვენ ჯერ კიდევ 2018 წელს აღმოვაჩინეთ „ყვარლის ბაგის“ ნედლეულში რაღაც ანტიბიოტიკებიო.



სანამ მთავარ სათქმელზე გადავალ, ერთი ამბავი უნდა გავიხსენო: ის დროა, საქართველოში ე. წ. აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი გმირად რომ შერაცხეს და მისი ე. წ. გატაცება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, სამყაროს დასასრულად შერაცხეს. ინგა გრიგოლიას ,,რეაქციიდან“ მირეკავენ - გთხოვთ, გადაცემაში მობრძანდეთ და ამ თემაზე თქვენი პოზიცია დააფიქსიროთო. კაი, მოვალ-მეთქი. მივედი, მთელი ,,ჟურნალისტურ-ენჯეოშნიკური“ ,,ელიტა“ დამხვდა იქა. მე გულწრფელად მივედი, რათა გულწრფელად მეთქვა ჩემი სათქმელი.

დაიწყო ინგამ, რომ ეს იყო უდიდესი ტრაგედია და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ,,კანეცი“.

გამოიყვანეს ყოფილი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი - მან დამჟავებული გამომეტყველებით გვამცნო, რომ ,,ქართული ოცნების“ ამბავი აფგან მუხთარლის გატაცებამ დაამთავრა და აწი საქართველოსაც აღარავინ დაელაპარაკებოდა, არც ერთი პარტნიორი.

სიტყვა მისცეს ლაშა ტუღუშს, რომელმაც ბრძნული გამომეტყველება მიიღო და დაყენებული ხმით დაიწყო - ესაო, სრული კრახია ამ ხელისუფლებისთვისო, ამის იქით უფსკრულიაო.

მიკროფონი გადასცეს ვინმე ლიკა შავგულიძე-ბასილაიას - იმან ეგრევე დამარხა ,,ქართული ოცნება“, მორჩაო, აფგანმა მოუღო ამათ ბოლოო.

ლაპარაკობენ ესენი, ყველანი ერთნაირ ჩვენებას აწვებიან, დანარჩენები ჩუმად არიან.

სიტყვა მომცეს მე - ხალხო, გისმენთ და ყურებს არ ვუჯერებ, რეებს ლაპარაკობთ, რას მიედ-მოედებით, განა ჩვენი სახელმწიფოებრიობა ვიღაც აფგან მუხთარლის მხრებზე დგას-მეთქი?!

რაიო? ჩვენი სახელმწიფოებრიობა აფგანის მხრებზე არ დგასო? დიახაც, დგას და არა მხოლოდ მის მხრებზე, მის ცოლ ლეილას მხრებზეც კი დგასო!

იქით „სოფლის ნობათი“ იგიჟებს თავსა, მე არაფერ შუაში ვარო, ჩემთან ყველაფერი წესრიგშიაო, „აგროჰაბი“ ცალკე მოსთქვამს - მე სუფთა ვარო. გამოდის, ყველაფერი პაპაშვილის ბრალი ყოფილა და ჰეეეე, მიდის მისი ფერმის გაკოტრების პროცესი.

თქვენი არ ვიცი, ჩემო ძვირფასებო და... მე კარგად ვიცნობ ამნაირ ხრიკებს, ამჯერად ერთს გავიხსენებ: გაგანია მიხას პერიოდში მოხდა ეგ ამბავი, სიღნაღის რაიონში არის სოფელი ვაქირი, აქ გლეხებს ჰქონდათ გაშენებული ვაზი „ვაქირულა“, რომელიც კონკურენციას უწევდა „საფერავს“ და გლეხები კარგადაც ხეირობდნენ. ადგნენ ვიღაცები ერთ დღესაც, გადაუხადეს ე. წ. მეცნიერებს კაი „მაყუთი“, დაარიგეს, რა უნდა ეთქვათ და მორჩა, ამით დამთავრდა „ვაქირულას“ არსებობა, გამოდიოდნენ რიგრიგობით ე. წ. მეცნიერები ტელევიზიით და ამტკიცებდნენ, ეს ვაზი შხამიანიაო, მისი ჭამაც კი არ შეიძლებაო. გაკაჭა (ეგრე იტყვიან ხოლმე ქიზიყში ვაზის გადაჭრაზე) ხალხმა „ვაქირულა“, რადგან ახლოს აღარავინ ეკარებოდა და არც არავინ იბარებდა. დამიჯერეთ, იგივე ვარიანტია, თორემ აბა, დავფიქრდეთ, თუ „სანტემ“ პაპაშვილის რძეში 2018 წელს აღმოაჩინა ანტიბიოტიკი და იცოდა, რომ პაპაშვილი თავის ძროხებს სკინტლით კვებავდა, რატომ იყო გაჩუმებული, დანაშაულს მალავდა? ახლა ვნახე „ყვარლის ბაგის“ განცხადება - ხალხო, მოდით, ჩვენი კარი ღიაა, ვისაც რა გაინტერესებთ, დაათვალიერეთ, შეისწავლეთ, გვკითხეთო. ახლა არავინაც არ მივა, ვიღაცების საქმე გაკეთებულია. ეგრე თუ მივყვებით, საქართველოში ზოგი ისეთ პრეპარატებს ხმარობს, მაგალითად, ძეხვს, ქათმის ხორცს, სოსისს, ყურძენსა თუ სხვა სახის ხილსა და ბოსტნეულს აღარ გაეკარებოდით. მოდით, რაკი ასე წავიდა საქმე, სამომავლოდ იმაზეც ვისაუბროთ, რით იწამლება დღეს ჩვენი ბაღ-ვენახები? ან ქერისა და ხორბლის ჯეჯილი? ხშირად მიკითხავს ფერმერებისთვის, გლეხებისთვის, რა სახის პრეპარატებს იყენებთ-მეთქი? არ იციან, რავი, რაც იყიდება, იმას ვასხამთო. რა იყიდება? რა შემოდის საქართველოში? ადრე, კომუნისტების დროს, ვენახებში შაბიამანს ხმარობდნენ და ეს იყო უვნებელი, ახლა რას იყენებენ, კაცმა არ იცის.

ჰო, კიდევ ერთი, ლაშა პაპაშვილმა კომპანია „ჩირინას“, ანუ „ბიუ-ბიუს“ მფლობელს შარშან სასამართლოში უჩივლა და 4,7 მილიონი მოუგო. თითქოს სკინტლი უნდა ეყიდა, ვერ იყიდა, ამით იზარალა და ამიტომ უჩივლა სასამართლოში. ამოცანა გვეკითხება: ხომ შეიძლება, მთელი ეს სპექტაკლი „ჩირინას“ შურისძიებას უკავშირდებოდეს? ეს მხოლოდ ვერსიაა, ვნახოთ, დაველოდოთ, ამ ქვეყანაში სკინტლის კი არა, ნეხვის სკანდალებიც კი „გაიასნებულა“.

●

ბადრისაც გირაო?

დიახ, მამუკა ხაზარაძის შემდეგ სასამართლომ ბადრი ჯაფარიძესაც 50 000-ლარიანი გირაო შეუფარდა იმიტომ, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისიაში არ გამოცხადდა. იცით, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს კაცი დაბადებიდან გაუგებრობაშია მოხვედრილი. რაზე ვატყობ? იმაზე ვატყობ, რომ სუ წითელია, სუ გაწითლებული დადის. გამოდის, სუ რცხვენია. დარწმუნებული ვარ, ძალიანაც უნდოდა თეა წულუკიანის წინაშე წარდგომა და აღსარების ჩაბარება, მაგრამ მამუკა ხაზარაძეს ვერ უსხლტება ხელიდან, მის მონობაში ამოსდის სული. მერე დგას და სხვას ეძახის ხან პუტინის მონას, ხან კიდე ბიძინას მონას. მე თუ მკითხავთ, ხაზარაძის მონობას პუტინის მონობაც სჯობს და ბიძინას მონობაც.

მეო, გადატრიალების შემდეგ არ გავქცეულვარ საქართველოდან და როგორ გგონიათ, ახლა გავიქცეოდი, ამდენი რომ მომთხოვეთ გირაოს სახითო? ეს იმ გადატრიალებას გულისხმობს, 1991-1992 წლების გასაყარზე რომ მოხდა, თავს ზვიადისტად თვლის და, ამავე დროს, ამ ქვეყნის მტრების სამსახურშია. აი, ამიტომაც არის ბატონი ბადრი მარადჟამს წითელი. რცხვენია, ძაან უტყდება, მაგრამ რა ქნას, მამუკას თავი რანაირად უნდა დააღწიოს? მაგას ვერც კი გაიფიქრებს, ვერც კი შეეცდება... გულში რომც გაივლოს, ეგრევე გაურჩევს მამუკა საქმეს ავლაბრული სომხურით და გადაუსვამს წითელ ხაზს.

ლორები

აი, ბატონო ლაშა, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ასეთი მოსაზრებებიც კი არსებობსო, - მიაჩერდა ჩასისხლიანებული თვალებით ინგა ტუღუშს. აიშვა ტუღუშმა, აიშვა მისდღემში დაუვარცხნელმა შავგულიძებასილაიამ, აიშვეს სხვებმაც, ერთი-ორი „მზვერავი“ იყო გატრუნული მხოლოდ, შემაჩვენეს, გამკიცხეს, გამრიყეს, სამარცხვინო აზრების მატარებლად შემრაცხეს, მიყვირეს, ცხვირწინ მუშტები მიქნიეს - ეგეთ რამეს როგორ ბედავ, შე ასეთო და ისეთოვო? ამასობაში რეკლამა დაიწყო, გარეთ გამოვედი გრილი ჰაერის ჩასაყლაპად, იქაც გამომყვნენ, სულ ისეთები მეძახეს, თვითონ რომ არიან, ერთ ვიგინდარას ისიც კი წამოსცდა - შე პიდარასტოო. კაცო, ყველაფერი შეიძლება დამაბრალონ, მაგრამ პიდარასტობა? ხოხ, მადამ ექს-პლეზიდანისა არ იყოს, არა და არასოდეს!

მანამდეც ვიცოდი და მაშინ უფრო დავრწმუნდი, რომ აფგან მუხთარლის „გაპრავებაში“ კაი „მაყუთი“ იყო ჩადებული, ვინც კი მე წამომესია, ყველა იყო მოსყიდული. როგორც ფეოლა იტყოდა, გაუჭირდებოდათ, აი!

ამ ამბის მოყოლა ერთმა ინფორმაციამ მაიძულა, რომელიც ამ დღეებში გავრცელდა: საქართველოში ყველაზე მსხვილი დონაციები „სოროსის ფონდს“ აქვს გაკეთებული. „რეალური სივრცის“ წამყვანს, ნინო ზაუტაშვილს 2020-2024 წლებში, ხელფასის გარდა, სხვადასხვა ორგანიზაციიდან მიღებული აქვს 152 407 ლარი და 960 დოლარი. მათ შორის, ზაუტაშვილს თანხა მიღებული აქვს ვასილ ივანოვ-ჩიქოვანის მეუღლის სარეკლამო კომპანიიდან, 38 200 ლარის ოდენობით.

„რეალური სივრცის“ თანამშრომელმა, გურანდა გოგოჩაშვილმა 2024 წელს მიიღო 71 899 ლარი, 2022-24 წლებში მან ასევე თავის თანამშრომელს, ტუხა კვინიკაძეს, რომელიც რეგისტრირებულია ინდმეწარმედ, 69 312 ლარამდე თანხა გადაურიცხა. ამავე გადაცემის კიდევ ერთ თანამშრომელს, თამარ მშვენიერაძეს სხვადასხვა ორგანიზაციიდან მიღებული აქვს 167 937 ლარი. მშვენიერაძეს 2021-2025 წლებში საკუთარ ანგარიშზე შეტანილი აქვს ნაღდი ფულიც - 78 630 ლარი.

ამავე ინფორმაციით, ლაშა ტუღუშს აფინანსებს ასევე სხვადასხვა ორგანიზაცია და მას 2022 წლიდან მიღებული აქვს 484 102 ლარი.

„პოსტვ“-ის ინფორმაციით, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ე. წ. დამცველს, ლაშა ბუღაძეს სხვადასხვა ენჯეოორგანიზაციებიდან 2022-2025 წლებში მიღებული აქვს 569 000 ლარი.

ეს ზღვაში წვეთია, სია უფრო გრძელია, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ამათ ოღონდ ფული მიეცი და აფგან მუხთარლის წმინდანად გამოაცხადებენ, ხოლო სენატორ უილსონს მუხლებს აულოკავენ, აღარაფერს ვამბობ სხვა ორგანოებზე. ესენი 2012 წლიდან ცდილობენ ქვეყნისა და, შესაბამისად, ხელისუფლების დაზიანებას... უფრო სწორად, დაზიანებას კი არა, დამხობას. გადავხედოთ განვლილ მოვლენებს - ჯერ ე. წ. პოლიტპარტიებს დაავალეს ამ ხელისუფლების დამხობა, ჩადეს დიდი ფული, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, სახელგატეხილი პარტიები ჩაფლავდნენ. მერე ე. წ. ჟურნალისტები გამორეკეს რუსთაველზე - ალბათ გახსოვთ, გრიგოლიები, სანაიები, აქუბარდიები, ჯანგირაშვილები და მათნაირი დეფორმირებულები რომ დაბოდიალობდნენ და ტრიპაჩობდნენ, ამ ხელისუფლებას ბოლოს ჩვენ მოვუღებთო. ისევ არაფერი გამოუვიდათ, ამ ფლასიანებს ხელისუფლება რანაირად უნდა დაემხოთ? აქაც დიდი ფული ჩადეს, მაგრამ წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. შემდეგ არასამთავრობოებს დაავალეს, გამოდით, განგაშის ზარები დაარისხეთ, დაუმორჩილებელი ხელისუფლება დაამთავრეთო. ამათაც დაიწყეს მილიონების ათვისება და ვითომ დაარისხეს - კვლავ არაფერი, ლომჯარია-გიგაურისა და სხვა დასეტყვილი ჭუკების „დარისხება“ არ გაიშვა ყიზილაჯლოს გადასახვევამდე. მოკლედ, ვინღა არ ჩამოათრიეს თბილისში, ვის აღარ ატარებინეს სარევოლუციო სემინარები, ზოგიერთ ქარაქუცას ავტომატის სროლაც კი ასწავლეს, მაგრამ კვლავ არაფერი/ვერაფერი. ეგ კი არა, აკერმანი რომ ჩამოიყვანეს, ორ კვირაში მოკვდა. არ ვიცი, სიმბოლურია ალბათ, ვინც საქართველოზე ხელი „აღმართა“, ვინც ჩვენი ქვეყნისთვის ავი მოისურვა, ან მოკვდა, ან პოლიტიკიდან გააგდეს, ან კიდე ვადა ამოეწურა და გადაშენდა.

ისევ წვალობენ მოსყიდული ღორები - ას ოცდა მერამდენიღაცა დღეა, ყოველ საღამოს ჩამოივლიან ხოლმე რუსთაველზე და ხავიან: „ალ იქნება სამალთალი, ალ იქნება მშვიდობა“! ამას წინებზე ყვებოდა ერთი მეგობარი, პარიზში ვიყავი ამას წინებზე, ერთ-ერთ კაფეში შევედი ყავის დასალევად, ქუჩიდან ხმა მომესმა, გავიხედე, ჯოგი მოდის ტრანსპარანტებით, ფრანგულად რაღაცას აპროტესტებენ. ყავის მომდულებელს ვეკითხები, ვინ არიან, რა უნდათ-მეთქი? იმან მხრები აიჩეჩა, ესენი 3 წელიწადია, ეგრე დადიან, არავინ იცის, რა უნდათ, ყურადღებას უკვე აღარ ვაქცევთო. როგორც ჩანს, იგივე ფრანგული ვარიანტია, ესენი ეგრე ივლიან 2028 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, იმ დროისთვის ეს ე. წ. ოპოზიცია აღარ იარსებებს, პოლიტიკაში ახალი ძალები მოვლენ, მაგრამ ამათ ამდენი არ ეცოდინებათ. პრინციპში, არც უნდა იცოდნენ, როცა ეგეთი „სამსახური“ აქვთ, რაში აინტერესებთ, რეალურად რა ხდება და სამყაროში რა პროცესები მიდის? იარონ, ჩვენი რა მიდის, რა გვენაღვლება? ვიღაც დუპლეტები ამათ ფულს რომ ურიცხავენ, ესეც ხომ ნავთლუღისა და ლილოს ბაზრებში იხარჯება? რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ ბობოლა აგენტებს, მაგათაც ამოარტყამენ, ბოლო-ბოლო, პანჩურს, ყალთაბანდ მავნებლებს როდემდე დააფინანსებენ? მთავარია, საზოგადოებას გავაგებინოთ სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა. სწორედ ამიტომაც მიიღო ჩვენმა პარლამენტმა „ფარას“ კანონის ანალოგი მესამე მოსმენით, რომელიც დუპლეტებმა ისევ რუსულ კანონად მონათლეს. არა, ზოგიერთმა ირანულადაც მონათლა. აი, ამიტომაც არის ამათი საქმე იქით, კუდუსუნისკენ!

მთავარი, ქართველი ხალხია

წინა კვირას ფილოსოფოსმა ზაზა შათირიშვილმა ტრამპის არჩევამდე და არჩევის შემდეგ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით როგორც საზოგადოებას, ისე ხელისუფლებას საკუთარი მოსაზრება შესთავაზა:

აშკარაა, რომ გლობალური ომის პარტია, იგივე „დიფ სთეითი“, ტრამპის ხელით, უკრაინის ომის პროვოცირების ბაიდენისთვის გადაბრალებას და სამწლიანი ომის დასასრულისკენ წაყვანას ცდილობს. ომის დასრულების სურვილს მარტივი მიზეზი აქვს - გლობალურმა ომის პარტიამ მთავარ მიზანს ვერ მიაღწია, რაც რუსეთ-უკრაინის ომის პროვოცირებისას ჰქონდა დასახული. ეს მიზანი სულაც არ იყო მოწინააღმდეგის დამარცხება, რაც რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის ფლობის პირობებში, სრულიად უტოპიური განზრახვა იქნებოდა. მარიონეტული ომის, როგორც მას თავად ტრამპი უწოდებს, მთავარი მიზანი, რუსეთში ხელისუფლების შეცვლა, ქვეყნის სათავეში აგენტურის მოყვანა და რუსეთის ჩინეთთან დაპირისპირება იყო, რასაც საფუძველი ერთპოლუსიანი სამყაროს კონცეფციის რეალიზებისთვის უნდა მოემზადებინა.

ექსპერტები ხშირად ამბობენ, რომ ომები, რომლებსაც, მხოლოდ ბოლო ათწლეულების მანძილზე მილიონობით სიცოცხლე და ასობით მილიონი ადამიანის კეთილდღეობა შეეწირა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტია. თუმცა, სინამდვილეში, სისხლიანი ომების ინიციატორი არა აშშ, არამედ გლობალური ომის პარტიაა, რომელიც „ბლექროკს“, „ვანგარდს“, „სთეით სთრითს“ და სხვა უმსხვილეს კორპორაციებს, ხოლო მათ უკან 15-მდე ოლიგარქიულ ოჯახს მოიაზრებს, რომლებიც ქონებას ასწლეულების მანძილზე ქმნიდნენ და დღეს ტრილიონობით დოლარის აქტივებს მართავენ. ოლიგარქიული ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყარო ომების წარმოებაა, რომლებსაც ისინი ოსტატურად გეგმავენ და ახორციელებენ. ამიტომ, გლობალურ ომის პარტიად მათი მოხსენიება სრულიად მართებულია. ამ თემას, ოჯახების გვარების დაკონკრეტების ჩათვლით, მოგვიანებით, ცალკე წერილში განვავრცობ. ამ ოჯახებისთვის ამერიკაც, ისევე, როგორც ევროპა, მხოლოდ ინსტრუმენტია, რომელსაც, თუ დაჭირდათ, ზუსტად ისევე ცივსისხლიანად გაწირავენ, როგორც დღემდე არაერთი ქვეყანა გაუწირავთ.

მოგვიანებით, ცალკე წერილს ილონ მასკს და იმის ანალიზს მივუძღვნი, თუ რატომ შემოიყვანეს ყველაზე მდიდარი ბიზნესმენი ასე აქტიურად სახელმწიფოს მართვაში. ილონ მასკის როლი ყველაზე საინტერესო და განსაკუთრებულია. მისი გააქტიურება გრძელვადიან სტრატეგიას ემსახურება.

გლობალური ომის პარტია, დაახლოებით, ერთი წლის წინ დარწმუნდა, რომ რუსეთში ხელისუფლების შეცვლას ვერ ახერხებდა და ის სცენარიდაგეგმა, რომლის მომსწრენიც ახლა ვართ. „დიფ სთეითმა“ არათუ რუსეთი ვერ ჩამოშალა და ჩინეთს ვერ დაუპირისპირა, არამედ უკუშედეგიც კი მიიღო და „ბრიქსის“ სახით, მეორე პოლუსის გაძლიერების რისკის წინაშე დადგა, რაც მის სტრატეგიას თავდაყირა აყენებს. გაძლიერდა კავშირი რუსეთსა და ჩინეთს შორის. გამყარდა რუსეთისა და ირანის სტრატეგიული პარტნიორობაც, რაც გლობალური ომის პარტიისთვის არანაკლებ შემაშფოთებელია. მიმდინარე მოვლენების ფონზე, სერიოზულად დასუსტდა დოლარის პოზიციები - მრავალმა სახელმწიფომ დოლარიდან გასვლა და ბონდების გაყიდვა დაიწყო.

მთლიანობაში, რუსეთთან ურთიერთობების გადალაგების გადაწყვეტილება, რაც რუსეთისთვის სანქციების შემსუბუქებასაც გულისხმობს, „დიფ სთეითს“ სამმა ძირითადმა ამოცანამ მიაღებინა. ესენია: პირველი, რუსეთ-ჩინეთისა და რუსეთ-ირანის კავშირების შესუსტება; მეორე დოლარის გადარჩენა; მესმე, „დიფ სთეითის“ რებრენდინგი და აშშ-ის, როგორც ზესახელმწიფოს, იმიჯის აღდგენა.

ბაიდენის ოთხწლედის დროს, „დიფ სთეითი“, პრაქტიკულად, საკუთარი თავის ლეგალიზებას ცდილობდა. ყველამ იცოდა, რომ ამერიკას არა ბაიდენი, არამედ არაფორმალური ძალა მართავდა. ჩავარდნილი სცენარისა და ახალი რეალობის პირობებში კი, გლობალური ომის პარტია დადგა აუცილებლობის წინაშე, აშშ კვლავ ზესახელმწიფოდ წარმოაჩინოს, რომელსაც არა მის მიერ მართული „მძინარე ჯო“, არამედ დემოკრატიულად არჩეული ტრამპი მართავს. პირველადი სცენარის ჩავარდნის პირობებში, გლობალური ომის პარტია შეეცდება, შედეგი ტრადიციული მეთოდით, ამერიკის ხელით მიიღოს და ერთპოლუსიანი სამყარო ზესახელმწიფოს ეგიდით ჩამოაყალიბოს. ამისთვის კი, საუკეთესო საშუალება იმ ყალბი აღქმის შექმნაა, რომ ტრამპი „დიფ სთეითს“ ამარცხებს.

სინამდვილეში, ტრამპი ზუსტად ისევეა იძულებული, გლობალურ ომის პარტიას და „დიფ სთეითს“ დაექვემდებაროს, როგორც ბაიდენი. ვინც თავის დროზე კენედის მკვლელობა დაუკვეთა, მისმა შვილიშვილებმა საპრეზიდენტო კამპანიის დროს ტრამპის მკვლელობადაუკვეთეს. მართალია, მიზანს სრულად ვერ მიაღწიეს, თუმცა, ამ უკანასკნელს მკაფიოდ მიანიშნეს, თუ ვინ არის „სახლში უფროსი“. შესაბამისად, ტრამპის სიტყვები „ან ამერიკა გაანადგურებს „დიფ სთეითს“, ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ამერიკას“ ისეთივე ფუჭია, როგორც იმის მტკიცება, რომ „დიფ სთეითი“, თურმე, ბაიდენი, ბლინკენი და სალივანი ყოფილან. რეალურად, ეს ადამიანები არა მმართველები, არამედ მართულები და „დიფ სთეითის“ დაკვეთების უბრალო შემსრულებლები იყვნენ. იგივე უნდა ითქვას **USAID**-ზე, **NDI**-ზე, „ამერიკის ხმაზე“, „რადიო თავისუფლებაზე“ და სხვა ინსტიტუტებზე, რომლებიც „დიფ სთეითს“ კი არ განეკუთვნებოდნენ, არამედ მისი ინსტრუმენტების ფუნქციას ასრულებდნენ. ომის ბაიდენისთვის, ხოლო რევოლუციების **USAID**-ისა და **NDI**-ისთვის გადაბრალება მხოლოდ „დიფ სთეითის“, ანუ რეალური მმართველის მიჩქმალვას და მის რებრენდინგს ემსახურება.

აშშ დღესაც გლობალური ომის პარტიის მთავარი ინსტრუმენტია. შესაბამისად, მისი ჩამოშლა გლობალური ომის პარტიის ჩამოშლასაც ნიშნავს. იმ ფონზე, როდესაც ამერიკულ ეკონომიკას და დოლარს სერიოზული პრობლემები ემუქრება, „დიფ სთეითს“ ამერიკის იმიჯის გაძლიერება სასიცოცხლოდ ჭირდება. თუმცა, ბუნებრივია, რებრენდინგის პირობებშიც, მგელი მგლობას არ მოიშლის და „დიფ სთეითი“ თავისი მილიტარისტული და რევოლუციური გეგმების განხორციელებას არ შეაჩერებს. მაგალითად, უკვე გამოიკვეთა **USAID**-ის ალტერნატივა, რომელიც, მომავალში, ევროპულ ფონდებთან ერთად, სხვადასხვა ქვეყანაში რევოლუციების წახალისებით იქნება დაკავებული.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, სად არის ამ ყველაფერში საქართველოს ადგილი. ვხედავთ, რომ დღეს გლობალური ომის პარტია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მთავარ იარაღად ევროპას იყენებს, რომელიც, ამავდროულად, მისი მთავარი მსხვერპლიცაა. სიცრუის ოსტატები ტრამპის ადმინისტრაციის ხელით ევროპას ყველა იმ დანაშაულსაბრალებენ, რომელიც „დიფ სთეითმა“ ჩვენს კონტინენტზე ჩაიდინა. უკრაინას, რომელიც აომეს, ძალიან მალე ცივსისხლიანად მიატოვებენ და მის ენერგოსისტემას, სასოფლო-სამეურნეო მიწას და სხვა რესურსებსაც დაეპატრონებიან. აშშ-ის იმიჯის გასამყარებლად, გამოაცხადებენ, რომ მან უკრაინაში ჩადებული საეჭვო 350 მილიარდი დოლარის სანაცვლოდ, უკან 500 მილიარდის ღირებულების მინერალები მიიღო, რომლის ღირებულება, სინამდვილეში, ამ თანხის მეათედიც არ არის. ამით, აჩვენებენ, რომ ამერიკა ნამდვილი ზესახელმწიფოა და კი არ წააგო, არამედ უკრაინაში ჩადებული ფული პროცენტებით უკან დაიბრუნა. ამასობაში, უკრაინაში ომის წაგებას ევროპას გადააბრალებენ და „დიფ სთეითის“ ევროპელი მარიონეტები - მაკრონი, ფონ დერ ლაიენი, სტარმერი და სხვები ამ მარცხს დიდი რუდუნებით თავის თავზეაიღებენ. გარდა ამისა, ევროპის მილიტარიზაციის გეგმასაც მოაწერენ ხელს, რითაც მრავალ მილიარდს „დიფ სთეითის“ კუთვნილ სამხედრო ინდუსტრიაში გადაქაჩავენ და ევროპის ეკონომიკას საბოლოოდ მიიყვანენ კოლაფსამდე.

ვიქტორ ორბანის მარჯვენა ხელი კვლავაც სანქცირებულია და ტრამპის ადმინისტრაცია მისი სანქციის გაუქმებას არ ჩქარობს. ბიძინა ივანიშვილს ბაიდენის ადმინისტრაციამ სანქციები დაუწესა რუსეთთან პარტნიორობის საბაბით, დღეს კი ტრამპის ადმინისტრაცია რუსეთთან თანამშრომლობით თავად იწონებს თავს, თუმცა, პარტნიორთან პარტნიორობაში დადანაშაულებულ ივანიშვილს სანქციებს არ უხსნის. მაგნიტსკის სიაშია შეყვანილი საქართველოს ვიცე-პრემიერი და ტრამპის ადმინისტრაცია არც ამ აბსურდის გადახედვისთვის იცლის. ევროპას ადანაშაულებენ რუმინეთში საპრეზიდენტო არჩევნების უკანონოდ გაუქმებაში, თუმცა, დაჩაგრულ კანდიდატს მაინც არ აძლევენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას და დაჭერასაც კი უპირებენ. საინტერესოა, რატომ არ დაასანქცირა ტრამპის ადმინისტრაციამ არავინ რუმინეთიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნამდვილად აბსურდულად მიაჩნია. ერთმანეთის იდენტური სცენარებით გრძელდება აქციები სერბეთში, სლოვაკეთში, თურქეთში. საქართველოშიც, ქუჩაში, რამდენიმე ასეული „დიფ სთეითის“ აგენტიდაგვიტოვეს. ეს ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ სინამდვილეში არც არაფერი შეცვლილა და ტრამპის ადმინისტრაციის ხელით „დიფ სთეითი“ ყველა იმ მტრულ საქმიანობას აგრძელებს, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციის ხელით იყო დაწყებული.

აშკარაა, რომ „დიფ სთეითი“ არც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის დათმობას აპირებს და მასთან ბრძოლაც მხოლოდ მოჩვენებითია. ახალი ადმინისტრაცია აქცენტს მხოლოდ გენდერის თემაზე და ტრანსგენდერებზე აკეთებს, რაც პრობლემის მხოლოდ მცირე ნაწილია. ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ აღიარეს ბანალური ჭეშმარიტება, რომ „კაცი კაცია და ქალი ქალი“, თუმცა, ისინი არცერთხელ არ დაპირისპირებიან ერთნაირსქესიანთა ქორწინებას და სხვა მოვლენებს, რომლებიც სამყაროს ფსევდოლიბერალურმა იდეოლოგიამ მოახვია თავს. გენდერისა და ტრანსგენდერების თემასაც „დიფ სთეითი“ ევროპაში ინახავს და კიდევ უფრო აქტიურად აღვივებს.

პრობლემებზე, რომლებთან დაკავშირებითაც ტრამპის ადმინისტრაცია საუბრობს, საქართველოს ხელისუფლება ჯერ კიდევ 3 წლის წინ ალაპარაკდა, რაც მათთვის, ობიექტურად, საინტერესო უნდა ყოფილიყო. თუმცა, ვხედავთ, რომ ახალი ადმინისტრაცია საქართველოსთან დაკავშირებით სრულ დუმილს ინარჩუნებს. ამ დუმილს ერთადერთი ახსნა აქვს - „დიფ სთეითმა“ არ იცის, რა უნდა გააკეთოს საქართველოსთან მიმართებით. „ქართულმა ოცნებამ“ იდეალურად წარმართა გასული 4 წელიწადი, პრაქტიკულად, ოპოზიციაგაანადგურა, ანუ „დიფ სთეითის“ აგენტურა, საზოგადოების უდიდეს ნაწილს გააგებინა სიმართლე, რომ „დიფ სთეითისგან“ მართული დასავლური სტრუქტურები არა საქართველოს დახმარებით, არამედ ქვეყნის არევისა და რევოლუციის მოწყობის გამუდმებული მცდელობით არიან დაკავებულნი. ახალმა ადმინისტრაციამ „ქართულ ოცნებას“ ხელი რომ გაუწოდოს, აგენტურა საბოლოოდ უნდა გაანადგუროს, რასაც, ბუნებრივია, „დიფ სთეითი“ არ დაუშვებს. ამავდროულად, „ქართული ოცნება“ ახლა იმდენად არის მოძლიერებული, რომ მასზე თავდასხმაც დღეს სრულიად კონტრპროდუქტიული იქნებოდა. სწორედ ამიტომ რჩება ახალი ადმინისტრაცია დუმილის რეჟიმში.

თუმცა, „ქართული ოცნება“ არ უნდა დაელოდოს იმას, რასაც ამერიკაში ელოდებიან. კერძოდ, „დიფ სთეითის“ რებრენდინგს, რომელსაც დაახლოებით, ერთი წელიწადი დასჭირდება. ამასაც მარტივი ახსნა აქვს - როგორც კი „დიფ სთეითის“ რებრენდინგი დასრულდება, ის საქართველოს გაძლიერებული ტრამპის ხელით შემოუბრუნდება და აგენტურით მის ჩანაცვლებას კიდევ ერთხელ შეეცდება. ამიტომ, „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოება ახალი ადმინისტრაციის ხელით „დიფ სთეითის“ ახალი შეტევისთვის წინასწარ უნდა შეამზადოს.

ერთადერთი, ვისაც ამ რთულ რეალობაში „ქართული ოცნება“ დღემდე ეყრდნობოდა და მომავალშიც უნდა დაეყრდნოს, ქართველი ხალხია, რომელსაც გასული 35 წლის მანძილზე უდიდესი გამოცდილება და სიბრძნე დაუგროვდა. ამიტომ, აშშ-ში მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოების სრულად ინფორმირებას ალტერნატივა არა აქვს.

გაუგონარი მსხვერპლი

საგამოძიებო კომისიის კვალდაკვალ

რთულია, საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობას თვალ-ყური მიადევნო და რაღაცნაირი შიში, აღშფოთება თუ აგრესია არ დაგეუფლოს. მართალია, ტრაგედიების უმეტესობა თითქმის ერთნაირი შინაარსისაა და თითქოს ბანალურადაც კი გამოიყურება, მაგრამ წმინდა ადამიანური თვალსაზრისით ზოგიერთი მართლა შემზარავად არის ამოვარდნილი საერთო სცენარიდან. სიტყვა „ბანალური“ შეიძლება უადგილოდ გამოვიყენე, ამიტომ ვეცდები, უფრო მარტივად ავხსნა: აშკარაა, წინა ხელისუფლების დროს ყველას ბედს ერთი ვინმე განაგებდა, იყო ხროვა და ამ ხროვას ჰყავდა ერთი მთავარი სცენარისტი. ახლა ზოგიერთი თქვენგანი გაიფიქრებს, ეგ სცენარისტი „ვივამედშია“ წამოპლაკული და სახელმწიფოს მისი შენახვა წელიწადში (3 წელიწადი გავიდა) 150 ათასი ლარი უჯდებაო. არა, ეგ არ გახლავთ მთავარი სცენარისტი, ეგ ხროვის მეთაური გახლდათ და იმის მითითებებს ასრულებდა, ვინც ცოტა ხნის წინ ჩვენი ქვეყნის ომში ჩათრევას ლამობდა და ჯერ კიდევ ლამობს. ეს დიდი თემაა, ამაზე დროთა განმავლობაში დავწერთ, ახლა კი იმაზე მოგახსენებთ, რატომ დამჭირდა ასეთი შესავალი: წინა კვირას საგამოძიებო კომისიის წინაშე კიდევ რამდენიმე დაზარალებული ადამიანი წარსდგა, მაგრამ ჩემი (ალბათ, თქვენიც) ყურადღება უფრო მეტად მაინც ერთმა ქალბატონმა მიიქცია, რომელიც „პოსტვ“-ის დილის გადაცემის ერთ-ერთი წამყვანია.

იცით, უპირველესად რა მითხრა ამ დაკითხვამ? როდესაც მარიამ რატიანს ვუყურებ ტელევიზორში, ასე მგონია, მას დარდი არასდროს გაჰკარებია, ამ დროს ბევრმა არ ვიცოდით, რა ტრაგედია გამოიარა ოჯახთან ერთად, მეუღლესთან და ხუთ შვილთან ერთად. ასეა, ჩვენს შორის არიან ადამიანები, იცინიან, საუბრობენ, ურთიერთობენ, ვერასდროს წარმოვიდგენთ, რომ მათაც რამე აწუხებთ, რამე სტკივათ, მაგრამ სინამდვილეში, გულით დიდი ტკივილი დაქვთ.



რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ შრომით, წვალებით, ოფლისღვრით ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიეს, ბიზნესი ააწყვეს, მაღაზიების ქსელი გამართეს, 28 მაღაზია აამუშავეს, ხალხი დაასაქმეს, საკუთარ ოჯახებს შემოსავალი მოუტანეს და მერე ამ ყველაფერს ვიღაცამ იქ, ზემოთ თვალი დაადგა? იმიტომ, რომ იქ, ზემოთ ვიღაცა გაბრაზდა? იმიტომ, რომ იქ, ზემოთ ვიღაცამ უჟმურ ხასიათზე გაიღვიძა? დიახ, ასეა, იქ, ზემოთ ვიღაცას არ მოეწონა, რომ მარიამ რატიანმა, მისმა მეუღლემ და მეგობრებმა მომიტინგეებს საკვები მიუტანეს.

რას ჰქვია, საპროტესტო აქციის მონაწილეებს სუპერმარკეტების ქსელის მეპატრონეებმა საჭმელი მიუტანესო? - გაცოფდა იქ, ზემოთ თლა „უმფროსი“ და ქვემორე „უმფროსებს“ დაავალა, მოისრას და მიწასთან გასწორდეს მაგათი ბიზნესიო.

მოისრა, გასწორდა მიწასთან, განადგურდა, აღარც სახლი დარჩა, აღარც კარი, აღარც თავშესაფარი, ნახევარი მილიონი დოლარის ქონება, ანუ სახლი მამუკა ხაზარაძემ წაიღო „თიბისი ბანკის“ მეშვეობით. დიახ, იმ მამუკამ, დღეს მაგარკაცობას რომ აწვება და ქვეყნის გამოხსნას ლამობს „ტირანი“ ივანიშვილისგან.

ქონების დატაცება არ იკმარეს, მარიამის ქმარი ციხეში გამოამწყვდიეს და ისე აწამეს, ჭკუიდან გადაიყვანეს... როგორც მარიამი ყვება, კაცი დადის და ხმამაღლა საკუთარ თავს ელაპარაკება. ამ დროს „ვივამედში“ წამოკოტრიალებული მუმია იძახის, პრომეთემ ხალხს ცეცხლი დაუბრუნა, მე კიდე ქართველებს სახელმწიფოებრიობა დავუბრუნეო.

უბრალოდ, ამას, ამ ჩვენს მუმიას უფრო მცირე მასშტაბი ჰქონდა, ბარემაც უნდოდა, მაგრამ მსოფლიოს ვერ გადასწვდა. ისე, მსოფლიო კი ალაპარაკა ჩვენზე.

მარიამი დღეს თავის ოჯახთან ერთად ქირით ცხოვრობს. წარმოგიდგენიათ? რამდენიმე წლის წინათ ნახევარმილიონიან სახლში ცხოვრობდა, დღეს კი ქირას იხდის. ის სახლი მამუკა ხაზარაძემ წაიღო, პატიოსანმა, ციდან ჩამოფრენილმა ხაზარაძემ. ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ მე რომ მის ადგილზე ვიყო, მარიამს ბოდიშს მოვუხდიდი და იმ გადაყიდულ ბინას თუ ვერ დავუბრუნებდი, სხვას ვუყიდდი. თუმცა მარიამი „ქოცია“ და აბა ახლა მამუკა „ქოცს“ სახლს ხომ არ უყიდის?

დღეს ხშირად გაიგონებთ, 9 წლის წინანდელ საქმეებში ნუღარ ვიქექებით, აწი მომავალზე ვიფიქროთო. ეს სირაქლემას პოზიცია იქნება, მარიამის შვილებს აწმყოც რომ წაართვეს და მომავალიც, ამას რა ვუყოთ? ეს რატომ უნდა დავივიწყოთ? კარგი, დავუშვათ, ჩვენ დავივიწყეთ, უგულობა გამოვიჩინეთ, თვითონ როგორ უნდა დაივიწყონ? ან რატომ უნდა დაივიწყონ? იმიტომ, რომ მსგავსი რაღაცები კიდევ განმეორდეს?

მე მარიამისა მიკვირს, ტელევიზორში ისე გამოიყურება, გეგონება, არაფერი აწუხებს, გეგონება, მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა. ასეთები საკუთარი დარდით და პრობლემებით სხვას არ აწუხებენ, სხვას არაფერს სთხოვენ, იბრძვიან, წელებზე ფეხს იდგამენ და საკუთარ სატკივარს უმკლავდებიან.

გონებიდან არ გამომდის მისი ნათქვამი: ჩემი მეუღლე ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ დადის, თავის თავს ელაპარაკებაო. ვინც სააკაშვილის ხროვის ხელში გაიარა და შემთხვევით გადარჩა, ყველა დასახიჩრებულია რაღაც ფორმით.

თქვენი არ ვიცი და... როდესაც მე ასეთ შემზარავ ისტორიებს ვისმენ, დაუნდობელი ვხდები მათ მიმართ, ვინც ამ დღეში ჩაყარა გამრჯე ქართველები და მინდა, ყველა უმკაცრესად დაისაჯოს, რათა ეს იყოს გაკვეთილი მომავალი თაობებისთვის.

ისევ ქვეყნის ამკლები ხაზარაძე?!

მეორე დაზარალებული, რომელიც ისევ მამუკა ხაზარაძემ გააუბედურა, გახლავთ მოქალაქე რამაზ ახვლედიანი, ლისის ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის ყოფილი მესაკუთრე. კაცმა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დადო საიჯარო ხელშეკრულება სახელმწიფოსთან, ოღონდ, გამოსყიდვით. მამუკა ხაზარაძე დღეს იქ კორპუსებს აშენებს. სადაც მე ვცხოვრობ, იქიდან კარგად ჩანს თავწაჭრილი მთა და გადახრიოკებული მიდამო. რამაზ ახვლედიანის თქმით, ხაზარაძის სქემა იყო ასეთი: ბადრი ჯარაფიძე და თვითონ ახვლედიანს შეხვდნენ, პარტნიორობა შესთავაზეს, სააქციო საზოგადოება ჩამოაყალიბეს, ხელმძღვანელებად მოსხდნენ და სიტუაცია სააკაშვილს გადააბარეს, რომელმაც თავის მხრივ ყველაფრის „მოყომარება“ ფინანსური პოლიციის იმჟამინდელ უფროსს, დავით კეზერაშვილს დაავალა.

ახვლედიანი ღამის 2 საათზე წაიყვანეს ნოტარიუსთან და დააწერინეს, აღარაფერი აღარ მინდა, ისე მიყვარს ჩემი სამშობლო, ყველაფერი მას უნდა ვაჩუქოო. რასაკვირველია, ახვლედიანი დასაწყისში ცოტა გაჟინიანდა, უარს ამბობდა, არ ვაჩუქებო, მაგრამ როცა შვილების სურათები დაულაგეს მაგიდაზე, ყაბულს გახდა. თურმე ნოტარიუსი შაყირობდა, ამ შუაღამისას 15 მჩუქებელი საიდან მოიყვანეთო?

მოკლედ, ე. წ. სახელმწიფომ ახვლედიანის ქონება იჩუქა, მერე ამ ე. წ. სახელმწიფომ ეს ქონება აუქციონზე გაიტანა და მამუკა ხაზარაძემ ჩალის ფასად იყიდა. წარმოგიდგენიათ, რა „ტრიუკი“ ჩაატარა ხაზარაძემ? თავის პარტნიორს ასობით ჰექტარი მიწა ე. წ. სახელმწიფოს ხელით აახია!

ესე იგი, საგამოძიებო კომისიაზე დაკითხული თითქმის ყოველი მეორე ყვება ისტორიას, სადაც კვალი მამუკა ხაზარაძემდე და ბადრი ჯაფარიძემდე მიდის. არა, კი ყვებოდნენ „ლეგენდებს“ ამ ხანდაზმულ თაღლითებზე, მაგრამ ქვეყნის ეგეთი ამკლებები თუ იყვნენ, მაინც არ მეგონა.

როგორც იცით, იმის გამო, რომ ხაზარაძე საგამოძიებო კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდა, პროკურატურამ ბრალდება წაუყენა და სასამართლომ 50 000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ეს ტიპი ძალიან არის მოწადინებული, რომ ციხეში ჩაჯდეს, მაგრამ ამ ეტაპზე თავს იკავებენ. ალბათ, დადგება დრო, როცა ბორკილებს დაადებენ და რომელიმე განყოფილებაში კუდუსუნის ძვალს დეტექტორით შეუმოწმებენ. მერე ჩავარდება ესეც ისტერიკაში, გამაშიშვლეს, სუ ჭინჭრითა მცემეს და მაწამესო, პირადად ბიძინა ივანიშვილმა მაწამაო!

გელა ზედელაშვილი

„დიფ სთეითი“ – დაუმარცხებელი მონსტრი

გვესაუბრება ანალიტიკოსი გია აბაშიძე:

— ბატონო გია, ტრამპმა ინაუგურაციაზე განაცხადა, რომ „დიფ სთეითს“ დაამარცხებს. ამ გადმოსახედიდან, რა იკვეთება, შეძლებს ტრამპი „დიფ სთეითის“ დამარცხებას, თუ იძულებული გახდება, მას დამორჩილდეს?

— ზოგადად, პრეზიდენტობის კანდიდატებს წინასაარჩევნოდ გაბერილი დაპირებების გაცემა ახასიათებთ. სწორედ ასეთი იყო დაპირება „დიფ სთეითის“ სწრაფად დამარცხებასთან დაკავშირებით.

აქ მთავარი ერთი საკითხია — „დიფ სთეითი“ მრავალწლიანი ღრმა ჭაობია, რომელმაც არამხოლოდ სახელმწიფო, სამთავრობო, სამხედრო, სამრეწველო კომპლექსი, არამედ თითქმის ყველა სფერო მოიცვა, მათ შორის, ანალიტიკური ცენტრები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ფსევდო ნჯო-ები, ე. წ. ლიბერალური მედია... „იუესაიდის“, „რადიო თავისუფლების“ თუ „ამერიკის ხმისთვის“ დაფინანსების შეზღუდვა მხოლოდ აისბერგის წვერის მოწყვეტა იყო. „დიფ სთეითმა“ ოსტატურად შეძლო სახეცვლილება და ფაქტია, სუვერენიტეტის დამცველ სახელმწიფოებს გამეტებით უტევს.

რაც შეეხება საქართველოს, ქაღალდზე ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი ვართ, თუმცა რეალურად, ვაშინგტონიდან განცხადების გაკეთების დონეზეც კი არ გვიცავენ.

საქართველოს ჰქონდა მოლოდინი, რომ იდეოლოგიური და ფასეულობითი თანხვედრის გამო, აშშ-იდან მხარდაჭერას მივიღებდით, მაგრამ ასე არ ხდება. შედეგად, ბოლო რამდენიმე დღეა, არამხოლოდ ხელისუფლებიდან, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ფენებში გაჩნდა ლეგიტიმური მოსაზრება, რომ თეთრ სახლში შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ანუ, ვაშინგტონის იმპერიული კონგლომერატი მაინც მძვინვარებს. შედეგად, პოლიტიკური დევნა ჩვეულებრივ მოვლენად და ე. წ. დემოკრატიის გამოხატულებად იქცა. ათეულობით მილიონ ევროპელს ხმის უფლებას ართმევენ, იქნება ეს ლე პენის გასამართლება, თუ რუმინეთში საპრეზიდენტო კანდიდატის ჩახსნა და სხვა. ამიტომ მრავალტრილიონიანი პოლიტიკური, კულუარული გაერთიანების — „სიღრმისეული სახელმწიფოს“ დამარცხების კუთხით, არაფერი შეცვლილა.

კი ბატონო, ამერიკის ახლანდელი ელჩი, დეგნანისგან განსხვავებით, ყველაფერში ცხვირს არ ყოფს, მაგრამ იმ შემოტევისგან, რაც ევროკრატიისგან მოდის, ჩვენი დაცვა ვერ ხდება. ერთადერთი იმედი-მომცემად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკის ელჩის საუბრები სამომავლო ეკონომიკურ პროექტებთან დაკავშირებით, რასაც სტრატეგიული პარტნიორობიდან გამომდინარე, დიდი ხანია, ვითხოვთ.

ვითარება რთულია. მაგრამ რაც მთავარია, „ქართულმა ოცნებამ“ სწორი პოზიცია დაიკავა. ის მიხვდა, რომ თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაციიდან ჭარბი მოლოდინები არ უნდა გვქონდეს, კვლავაც ჩვენი სუვერენიტეტის დაცვა უნდა განვაგრძოთ და სხვა ქვეყნების ინტერესებს თავი არ მოვუდრიკოთ.

— ამერიკის ახალ ადმინისტრაციას საქართველოსთვის ბაიდენის მიერ დაწესებული სანქციები არ მოუხსნია. ისევ დასანქცირებულია ივანიშვილი და მაგნიტსკის სიაშია გომელაური. ეს რას ნიშნავს?

— ტრამპი მტაცებელი ბიზნესმენი პოლიტიკოსია. იგი ცდილობს, გლობალური პოლიტიკიდან მაქსიმალური სარგებელი მიიღოს. ახლახან მან მთელ პლანეტას, სხვადასხვა სახელმწიფოებს სავაჭრო ომი გამოუცხადა.

რაც შეეხება სანქციებს, როცა ტრამპი თავად ამბობს, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია უნიათო, უხერხემლო, ყველასთან კონფლიქტის გამჩაღებელი იყო, მაშინ რას ნიშნავს ჩვენ მიმართ ახალი ადმინისტრაციის დუმილი?! ქართველ საზოგადოებას ლეგიტიმური შეკითხვა უჩნდება: რით განსხვავდება ბაიდენი ტრამპისგან? — არაფრით, რადგან ორივე დიფ სთეითის გავლენის ქვეშ არის მოქცეული. დიახ, ტრამპმა დადო პირობა, რომ „დიფ სთეითს“ მყისიერად გაანადგურებდა, რაც რიგი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა. „დიფ სთეითი“ უმძლავრესი მონსტრია, რომელიც ფინანსურ, პოლიტიკურ, მედია, ტექნოლოგიურ, საგანმანათლებლო თუ სხვა ბერკეტებს ფლობს და ასე უცებ მისი განადგურება ვერ მოხდება. აქ ლოგიკურად ჯდება ის განცხადება, რაც ამას წინათ ტრამპმა გააკეთა. კერძოდ, კონსტიტუციაში არსებობს ხვრელი, რომლის თანახმადაც მას შეუძლია, კენჭი მესამე ვადით იყაროს, ან მისი დაწყებული პოლიტიკა მისივე თანაგუნდელმა განაგრძოს. ანუ, ეს ირიბი აღიარებაა, რომ ოთხ წელიწადში ამ გრანდიოზული პროექტების, უპირველესად კი, „დიფ სთეითის“ დემონტაჟს ვერ მოასწრებს. ამიტომ საუბარი მესამე ვადაზე დაიწყო. ყოველივე ამყარებს ეჭვებს, რომ დიფ სთეითი არსად გამქრალა — მას ლავირება, მეტამორფოზა და თავისი გავლენების შენარჩუნება შეუძლია იმის მიუხედავად, რომელ ფინანსურ საცეცებს მოაჭრიან ვაშინგტონში თუ სხვაგან. რა სურს „დიფ სთეითს“? სუვერენული ქვეყნების ხელისუფლებებს ბოლომდე დაეპატრონოს და მის მონა-მორჩილ მოწაფეებად აქციოს, რომელთაც, რასაც ჩასძახებს, ის შეუსრულონ, იქნება ეს ფეხზე ადგომით, თუ ასკინკილით.

— როცა ტრამპმა ინაუგურაციაზე განაცხადა, ქალი ქალია, კაცი — კაციო, ამან ქართული საზოგადოება აღაფრთოვანა და იმედი ჩაუსახა.

— რა თქმა უნდა, ტრამპის დღის წესრიგსა და „ქართული ოცნების“ რეალურ პოლიტიკას შორის ბევრ საკითხში ფასეულობითი თანხვედრაა. „ქართული ოცნება“ „დიფ სთეითის“ გავლენებზე გაცილებით ადრე ლაპარაკობდა, რასაც მავანი რუსულ ნარატივად ნათლავდა. თუმცა, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს აშშ-ის 47-ე პრეზიდენტის ოფიციალური პოზიციაცაა. რაც შეეხება ლგბტ თემას, ტრამპმა ქალთა სპორტში მამაკაცებისა თუ ტრანსგენდერების მონაწილეობა აკრძალა. თუმცა, იგი რეალურად, ამერიკის ტერიტორიული და სამართლებრივი მოწყობიდან გამომდინარე, ერთსქესიანთა ქორწინებას ვერ აკრძალავს. ტრამპს რიგი ორგანიზაციებისთვის დაფინანსების გაუქმების, ასევე, ქალთა სპორტში ტრანსგენდერების მონაწილეობის აკრძალვის გამო „დიფ სთეითის“ მიერ მართული მოსამართლეებისგან გააფთრებული წინააღმდეგობა ხვდება. ტრამპის მხარდამჭერები ასეთ მოსამართლეებს „სოროსის გამოკვებილებს“ ეძახიან, მაგრამ მათ გავლენის ბერკეტები აქვთ.

ამერიკის მართლმსაჯულება რთული სისტემაა, რაშიც „დიფ სთეითს“ უდიდესი გავლენა აქვს, უპირველესად, პროკურატურას ვგულისხმობ. ამერიკა სხვა ქვეყნებისგან იმით გამოირჩევა რომ იქ ბევრი ჩინოსანის არჩევა ხდება და არა დანიშვნა, იქნება ეს საოლქო პროკურორი, შტატის მოსამართლე თუ სხვა. „დიფ სთეითის“ გავლენები ამ მხრივაც დიდია. რადგან ამა თუ იმ კანდიდატის წინ წაწევა იმ წინასაარჩევნო კამპანიით ხდება, რომელსაც სოროსი და დიფ სთეითის სხვადასხვა მულტიმილიარდერი წარმომადგენლები აფინანსებენ.

— ბატონო გია, ამერიკის ახალი ადმინისტრაციის გამორჩეული სახეა ილონ მასკი. როგორ ფიქრობთ, რატომ შემოიყვანა იგი ტრამპმა სახელმწიფოს მართვაში?

— მასკი დედამიწის უმდიდრესი, გავლენიანი ადამიანია. მის ავტოწარმოებას, რატომღაც ულტრამემარცხენეები ერჩიან და როდესაც შოურუმებში მის ავტომანქანებს წვავენ, ეს შიდა ტერორიზმად განიხილება, რაც გარკვეული ვადით პატიმრობას ითვალისწინებს. ხოლო როცა საქართველოს პარლამენტის შენობას პიროტექნიკას ესვრიან, ან პოლიციელებზე ხელს აღმართავენ, ეს, თურმე, სიტყვისა და თავისუფლების გამოხატულებაა. საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტთან. დააკვირდით, რა ხდება — ჯო უილსონი, რომელიც მესამეხარისხოვანი პოლიტიკოსია და მისი მსგავსნი, რუსეთს ცუდ კონტექსტში აღარ ახსენებენ, მხოლოდ ჩინეთსა და ირანს მოიხსენიებენ უარყოფითად. თურმე, ახლა საქართველო პრორუსული კი აღარ არის, არამედ პროჩინური და პროირანულია. ამიტომ ნურავის იმედი ნუ გვექნება. არ უნდა ველოდოთ, რომ რაღაც ღილაკს თითს დააჭერენ და უცებ საქართველოს მიმართ დატკბებიან. ასე არ იქნება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენ ძალიან ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა გვაქვს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მტერს თუ მოყვარეს იზიდავდა. იმპერიების ამბიციები პატარა ქვეყნებთან დაკავშირებით არ იცვლება. პატარა ქვეყნებს საკუთარი თავის დაცვა მაშინ შეუძლიათ, როცა ერი და ბერი, ხელისუფლება, მთავრობა და მხედრობა ერთიანია.

— დიფ სთეითი საქართველოს წინააღმდეგ მთავარ იარაღად ევროპას იყენებს. როგორ მოხდება ამ ფონზე ევროპასთან ურთიერთობების დალაგება?

— საქართველოს ხელისუფლება გონივრული, ბრძნული მოთმინების რეჟიმში რჩება და ამ უსინდისო თავდამსხმელებთან ურთიერთობას არ ამწვავებს. ვხედავთ, რომ ევროკრატია გააფთრებით იბრძვის, რათა უკრაინასთან მიმართებით სამშვიდობო პროცესი შეფერხდეს. გეოპოლიტიკურად უხერხემლო ევროკავშირი ცდილობს, ზელენსკის კრიმინალურ და უკრაინის მოღალატე ხროვას დაეხმაროს, რათა ომი რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს. ასე არ მოხდება, რადგან ამ შემთხვევაში ტრამპის და ევროკრატიის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.

საქართველო ტრამპის დღის წესრიგში ძალიან დაბლაა, მაგრამ ორბანი ხომ მისთვის ერთადერთი ტელეფონის ნომერია ევროკავშირში, თუმცა მისი მთავრობის დასანქცირებული მაღალჩინოსნის მარწუხებიდან გასათავისუფლებლად არაფერს აკეთებს. აქედან გამომდინარეც დასტურდება, რომ „დიფ სთეითის“ გავლენები არ შემცირებულა.

ქართულმა საზოგადოებამ, რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკაში საკმაოდ გათვითცნობიერებულია, მშვენივრად იცის, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ — ეს ფორმულა ბოლომდე უნდა დაიცვას. ასე რომ, სანქციებით ვერ შეგვაშინებენ, პირიქით, ეს ქართველ საზოგადოებაში ანტიდასავლურ განწყობებს უფრო გააღვივებს. ამით ვერანაირ დივიდენდს ვერ მიიღებს ვერც ევროკრატია და ვერც — „დიფ სთეითი“. მთავარი რეცეპტი გახლავთ — საქართველოს მხოლოდ ერთობა გადაარჩენს.

— ბატონო გია, საზოგადოება პირდაპირ ეთერში ისმენს 9-წლიანი რეჟიმის შემზარავ ქმედებებს. რამდენად მნიშვნელოვანია ხალხისთვის ეს ინფორმაცია?

— ერთმნიშვნელოვნად, მოღალატე ნაციონალური რეჟიმი უნდა გასამართლდეს და ქვეყნის ღალატისთვის ყველამ პასუხი აგოს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა არაერთხელ აღიარეს, რომ ახალგაზრდებთან კომუნიკაციის სერიოზული პრობლემაა. ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი — პარლამენტიდან პირდაპირი ჩართვებით ახალგაზრდობაში წიგნიერების ამაღლება დიდად ვერ მოხდება. ამიტომაც ერთია ის, რომ კრიმინალური ნაცრეჟიმი უნდა გასამართლდეს, მეორე კი ის გახლავთ, რომ ახალ თაობას ეს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა მივაწოდოთ.

თამარ შველიძე

ზვიგენის ყბაში ჩავარდნა, თუ წულუკიანის სამართალი?!

გაგიკვირდებათ და, საახლობლოში მეც მყავს ადამიანები, რომლებსაც ჩემგან განსხვავებული აზრი აქვთ. მათგან, ერთი, ვეგეტარიანელიც კი არის, ლოკოკინაზე მსჯელობა რომ არ ეზარება, ეგ მცენარეებით იკვებება და ამიტომ მისი ჭამა ვეგეტარიანულიაო. რა თქმა უნდა, მასთან მუდმივი კონფლიქტი მაქვს, რადგან ვერაფრით გავაგებინე, რომ მისებური თვალსაზრისით, მაგალითად, კურდღელიც მხოლოდ მცენარეებით იკვებება და ამდენად, კურდღლის ჩახოხბილი თუ მწვადიც, ვეგეტარიანულია და ჩაქაფულიც... ლოკოკინა უხერხემლო ცხოველია, ცხოველი-მეთქი. არაო. აბა, რა არის, მცენარეა-მეთქი? თუ უნდა, მომაკვდავი ვარანის ტორტი ჭამოს, მაგრამ ვაბრაზებ, რადგან ვერ ვიტან, დაბრაწული ლოკოკინების ნეტარებით ჭამის ვიდეოებს რომ დებს სოცქსელში. ეს პატივცემული ადრე კარგი პურისმჭამელი ტიპი იყო და უცბად რა შეუფრიკინდა თავში თუ გაგებაში, ვერ გავიგეთ.

ისეთი ფრიად მორწმუნე ახლობელიც მყავს, რომელიც ამჟამად „მეტადონის პროგრამაშია“ ჩართული, მანამდე კი „ქეში“ იყო აბსოლუტურად სუფთა სინდისით, “კანაპლია” მცენარეაო... ეს პატივცემული „ხალხურ მედიცინას“, კერძოდ, ფიტოსაშუალებებს უფრთხის, მაგ სამკურნალო მცენარეების შემგროვებელს, ბალახების კრეფისას, იქნებ, ეკალი შეესო თითში და უნებლიედ მისი სისხლის ნაწილაკები მივიღოო...

ეს ორი კატეგორია ისეთი ჩაციკლულები მყვანან თავის გაგებებში, რომ დარწმუნებული ვარ, კაცთმოყვარეობა რომ არ სძალავდეთ, ყველაზე მაღალი ქარაფიდან ხევში გადამადგებდნენ.

ზოგადად, ჩემი ქარაფიდან მოსროლა ბევრი კატეგორიის ადამიანს უნდა, მაგრამ „ხოსე მამამ გამბოლტა“ და სანამ ჩემით არ ავორთქლდები „მფრინავი თეფშივით“ წამიერად და მოულოდნელად, საშველს ვერ მაყენებენ. უილავჯობისგან, ჩემს დანახვაზე, უნახავი ბუღასავით ზოგს სისხლიღა აწვება თვალებში და ზოგს — ხიჭვები ერჭობა სახმო იოგებში.

პოლიტახლობლებისთვის ყველაზე ბუნჩუნულა ვარ, ხმას არ ვიღებ თუ ჩემი ჭკუისას არ ვესაუბრები. ხმას რა ამომაღებებინებს! თუ ჩუმად ვარ და მხოლოდ მხედავენ, რეაქტიული ფსიქოზი აქვთ, ხმა რომ ამოვიღო, რა მოუვათ, ხომ წარმოგიდგენიათ, ამიტომ მათ ფსიქიკას ვუფრთხილდები. ისინი მე მაგლახავებენ თავიანთ ჭკუაში „41 ზომა ხიხოს კალოშები არ გაგძვრესო“, მე იქით ვლოცავ, „5 სარი ერთად იყოს თქვენს მაზოხისტ ჯანშიმეთქი“. აბა, როგორი ასატანი ვარ, ჩავუჯდები და ეს განსაკუთრებული შემთხვევები სპორტი და ქართველი სპორტსმენები არიან; ასევე, თუ ქართველი მონაწილეობს საქართველოს სახელით სადმე და რამეში; და ბოლოს, ინტელექტუალური თამაშები — მგონი, ამოვწურე...

ხალხს კი, დაწყებული ჩემი ოჯახის ზოგიერთი წევრიდან, ისე უყვარს ეს ყუთი, უყურებს თუ არ უყურებს, მაინც ჩართული აქვს — ეტყობა, მარტოობა აშინებთ. ძველ დროში ახლობელი მყავდა, სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილი, გვიან ღამე, ტელევიზორი რომ უკვე შიშინებდა, მაინც ჩართული ჰქონდა და ტკბილად ეძინა, რაღაცის ხმა რომ მესმის, უკვე კარგია, მარტო არ ვარო.

ჩემნაირებიც მყავს, ეს უმდაბლესი დონის ყუთი რომ უარჰყვეს და ჰოი, საოცრებავ! ერთი კვირაა, დღის რაღაც მონაკვეთში თუ დავრეკე საახლობლოში, თავაზიანად, მაგრამ ყველა თავიდან მიშორებს. ჩავეძიე მიზეზს და ბიჯოს, თურმე ყველა ტელევიზორთან მიმჯდარა, მაგრამ მიტანენ, სიყრმის სიყვარული მოსდევთ...

ნევროზიანები ამ ბოლო დროს მინავლდნენ, ეტყობა, რაღაც დასაოკებელს მიაგნეს, თორემ ცალობით კი არა, დასტა-დასტა მყავდნენ.

ძირითადად, ისეთი საახლობლო მყავს, ცხოვრებაში მხოლოდ სამ-ოთხჯერ რომ გააქტიურდნენ, ისიც, შიშის გამო — 9 აპრილს, 8 აგვისტოს და 1-ელ ოქტომბერს, ერთიც, ალბათ, შავმა კატამ რომ გადაურბინათ გზაზე, ან მეხი გავარდა, — რა ვიცი...

ყველაზე მეტად ის კატეგორია მიყვარს, პოლიტიკა რომ არ აინტერესებთ და შესაბამისად, პოლიტმიმომხილეველები არ არიან. ურთიერთობაში პოლიტიკის ამოგდებით უამრავი დრო რჩება გამოთავისუფლებული და იმ დროში ბევრი რამ ეტევა ისეთი ადამიანური, რასაც არაფრისმომცემი პოლიტმსჯელობა იტაცებს.

ადამიანო, რა შენი საქმეა პოლიტიკა! საქმე გამოგლეკია? რატომ იღლი ენა-პირს, შენ ვინ გეკითხება რამეს, რომელი ტალეირანი შენ მყავხარ?

პოლიტიკა პოლიტიკოსების საქმეა და ეტყობა, რადგან პოლიტიკოსების ნაკლებობას განვიცდით შინაგანად, იმიტომაც გავპოლიტიკოსდით ყველა...

ის კატეგორია განსაკუთრებული წესით მკლავს, არასდროს არაფერი რომ არ მოსწონს, ყველაფერს იწუნებს, ყველაფერს აკრიტიკებს, ენაზე უდევს: „ესენი, „ნაც-ქოცები“ რამ გაყო“ და ერთი მაამებლური სიტყვა არ დასცდება ვინმეს ან რამეს მიმართ, მაგრამ ასარჩევად თუ აქვს, ყველა იმ სიკეთით სარგებლობს, რასაც იწუნებს.

მივადექი უსარგებლო ყუთს, სახელად ტელევიზორს, რომელსაც წლებია, არ ვწყალობ, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ ფეხბურთს უყურებენ. განსხვავება ის არის, რომ ფეხბურთის დროს ყველა ერთად ვყვირით სახიფათო მომენტების დროს, ერთად ვღრიალებთ „გოოოოლ!“ და დაახლოებით ერთდროულად ვიგინებით, შიგადაშიგ მწვრთნელს ვტუქსავთ არასწორი ტაქტიკის გამო და თუ გაგვაბრაზა, მსაჯს ვაგინებთ სექსუალური ორიენტაციის დაზუსტების დართვით;

ახლა, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობის ტრანსლირების ყურების დროს კი, ვინ რისი დამყვირებელია, ერთი ტონალობით მაღლა წარმოსთქვა გენერალმა ფრაზა და იმავე ერთი ტონალობით რომ აუწია სიტყვას ქალბატონმა წულუკიანმა, გენერლის სამხრეებმა ლამის რანგი დაიგდეს.

ვილი სანიოლი, ალბათ, გუნებაში ფიქრობს, მე რომ მასწავლით, ვინ დავაყენო ძირითადში და რა ტაქტიკით ვათამაშო გუნდი, თუ მაგრები ხართ, თეა წულუკიანს ასწავლეთ ახლაო. ვინ რა უნდა ასწავლოს, ყველას დიიიდი მშიერი გველკუების მჭამელიც და „დილით ხაში, ზედ ლავაშიც“, — პარლამენტის დროებითი კომისიის სხდომებს უყურებენ.

განა რას უსმენენ ისეთს, რაც მანამდე არ გაუგიათ, მაგრამ არა, დიდი მოწადინებით უსმენენ საქმეების დეტალებს. ასეა, „სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადია...“ არცთუ ძველ დროში, საჯაროდ დასჯა მხოლოდ იმიტომ არ იყო, რომ პოტენციური დამნაშავეები დაშინებულიყვნენ, მასის მოთხოვნილებაა სხვისი დასჯის შესახებ ინფორმაციის ათვისება, რადგან ოდითგანვე ადამიანში დევს ძმის მკვლელობის კოდი...

ამ ეტაპზე, ვფიქრობ, მართლაც საჭიროა, რომ სრულყოფილად თუ არა, მონახაზები მაინც გამოაშკარავდეს იმ ათასობით სისხლის სამართლის დანაშაულისა, რაც საკუთარი ხალხის წინაშე ჩაიდინა დამნაშავე ხელისუფლებამ, მათგან კი კონკრეტულმა პირებმა — კონკრეტული ადამიანების მიმართ თუ წინააღმდეგ, რასაც სამარცხვინო გვირგვინად სამშობლოს ღალატი ადგას...

კითხვა დაავიწყდა ხალხს და, კარგია, თუ სმენაც არ დაზშობია. ნეტავ, ყურით ყველამ კარგად მაინც მოისმინოს, ხოლო თუ გაზარმაცებულ ტვინთან დააკავშირებენ მოსმენილს და ამოქოქავენ, უკეთესი იქნება...

ასეთი საყოველთაო ტელევიზორთან მიმჯდარობა ბავშვობაში მახსოვს, ოღონდ ეკლესიაში არ წავსულიყავით ახალგაზრდები და ლიტანიობის ღამეს „ლედი კარატე“ რომ გაუშვეს და კიდევ რაღაცის გამო — „კომანდოსი“.

მნიშვნელოვანი ფეხბურთის დროს, თავისთავად, ყველა დროში ტელევიზორთან ვართ მიმჯდარი ყველა, მგონი, მაშინ ყველაზე ავი კოღოებიც კი წყვეტენ ფრენას და ზვიგენის ყბაში ჩავარდნა ურჩევნია პაატარა თეას ყბაში ჩავარდნას...

ნიკა გვარამიამაც კი ორი სიტყვით მოხაზა თავშივე და მას მერე დუმს „ჯალათი წულუკიანი!“ ნიკა ნაკითხი ბიჭია, ეტყობა, ანტონინა პანფილოვა გაახსენდა, „პალაჩ ვ იუბკე“, რომელიც შემდგომში დახვრიტეს და ინატრა, ახლა მქნა ძველ, ნეტარ დროში, უგამოძიებოდ გიჩვენებდი გამოძიებასო, მაგრამ ხმამაღლა როგორ ინატრებდა, ორი თავი კი არა, ერთი თავი აქვს და, საკარაუდოდ, ისიც ოხრად რჩება...

მავნებელ ნაცსექტანტთა ანონსში მრისხანედ სახელდებულმა 31-მა მარტმაც ჩაიარა და ახლა 9 აპრილის ჩავლას ელიან, ესეც ვაცადოთ, მერე, დავდგეთ პარლამენტის წინ და ფეხი აღარ მოვიცვალოთო, — თავისიანებს მობანა მსოფლიო ბანმა და ალბათ, მოუმეცოსოპრანოა ანიტა რაჭველიშვილმაც, „დოიმ“ კი თვალები გადმოკარკლა და ცალი ფეხი ისე ააბაკუნა ხის ფიცარნაგზე, რომ სასიკვდილოდ გადადებულ მამლაყინწას მაგრად შეშურდა.

სალომე სამადაშვილმა თქვა, ვაპირებთ, კიდევ უფრო აქტიურად ვიაროთ ხალხში, ავუხსნათ, რა გამოწვევები დგას დღესო. გულს შემომეყარა! — კარი რომ გავაღო და პომადიანი სალომე სამადაშვილი დავინახო მოღიმარი სახით მოსაუბრე: „გინდათ, გესაუბროთ ჭეშმარიტ გამოწვევებზე?“, ხომ მყისიერად სოფო ჯაფარიძეს დავურეკავ, მოდი სასწრაფოდ ჩემთან და გაყუჩების გარეშე „პლოსკოთო“ სიბრძნის კბილი ამომიღე-მეთქი, — აბა, რითი გადავფარო ის უეცარი ელდა?

ისეთი სამარისებური პოლიტსიჩუმეა, იმ მეგაფონა-გოგოს მოძახილი და მისი „დრამერები“ უკვე სიცოცხლის მაცნეებად მეზმანებიან...

რა იყო, ბიჯო, ამოიღონ ხმა!

ის ნიჰილისტი „სასტავი“ სადღა დამეკარგა, რომ გაიძახოდნენ, „ახალი ცირკი დაიწყო ბიძინამ, ვითომ ნაც-ქოცებს შოკოლადნი ატნაშენიაში ჩორტი ჩაუვარდათო“?

საინტერესოა, როგორ ზომავენ, „ჩორტი“ ქალბატონი წულუკიანია, სისხლის სამართლი თუ, ორივე ერთად?

ის ნამდვილად ვიცი, რომ „შოკოლადნი ატნაშენია“ კოაბიტაცია იყო, რომელიც იმ გათვლით იყო იძულებით თავზე მრავალწყებად შემოხვეული, რომ აქლემის ტყავის მაგივრობა უნდა გაეწია, მაგრამ ვერ ივარგა, გაილია დოლბანდი...

როგორც დასჯის ტექნიკა, სამართალი არსებობდა, მაგრამ არ იყო კადრები, რომლებიც სრულად ფლობდნენ ამ ტექნიკას და ყველა დადგენილი წესის მიხედვით ამ ტექნიკის გამოყენების საკმარისი მონაცემები გააჩნდათ. ის ვარიანტია, 1935 წელს რომ თქვა სოსელომ, „ტექნიკა წყვეტს ყველაფერს“ უნდა შეიცვალოს ლოზუნგით „კადრები წყვეტენ ყველაფერსო.“ ჰოდა, გადაწყვეტენ!

ზოგადად კი, როცა ამდენი ადამიანი გაფაციცებული ელოდება, როდის ივლიან ხელკავით სამართალი და სამართლიანობა, შენ, ვიღაცა ხარ, განსასჯელის სკამის მომლოდინე, ყასიდად მაინც უნდა შეგრცხვეს...

ზურა ოშხერელი

მერაბ კოსტავა ქართული საზოგადოების სინდისი იყო



გვესაუბრება კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა

— ბატონო გოგა, 1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი დღეა, როდესაც ქართველმა ერმა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და დასაცავად არნახული თავდადება გამოიჩინა. ამ ტრაგიკული დღიდან 36 წელი გავიდა. როგორ ფიქრობთ, მაშინდელ და ახლანდელ 9 აპრილს შორის სულიერი ხიდი გაიბა?

— არა მგონია, რომ 1989 წლის 9 აპრილმა დამოუკიდებლობის მოპოვება განაპირობა. ეს დღე ჩემთვის ტრაგიკული იყო შემდეგ მიზეზთა გამო: ერთი ის, რომ ამ ბრძოლას ახალგაზრდა ქალბატონების სიცოცხლე შეეწირა და მეორეც, ჩემი აზრით, ქართველმა ერმა უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა თავის მწყემსმთავარს არ მოუსმინა. მან გვთხოვა, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში შევსულიყავით და გადარჩენისთვის უფლისთვის მადლობა გვეთქვა. პასუხად კი უარი მიიღო. მერე, სამოქალაქო პირმა, როცა იქ პატრიარქი იდგა, „მამაო ჩვენო“ წარმოსთქვა. საყვედურს არ გამოვთქვამ იმ ადამიანების წადილის გამო, ვინც რუსთაველზე თავისი თვითმყოფადობის, ღირსების, სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, მაგრამ ის ადამიანები, ვინც ამ პროცესებს მართავდნენ არც ღმერთთან იყვნენ მართალნი და არც — საკუთარ ხალხთან.

მას შემდეგ რუსთაველის გამზირი გაუთავებელი დაპირისპირებების, ძალადობის დემონსტრირების ადგილად იქცა. დღემდე ის პროცესები, რომლებიც ქვეყანას არაფერს რგებს, სწორედ აქ მიმდინარეობს. ასე რომ, 9 აპრილი სამგლოვიარო და არა საზეიმო თარიღია. პირადად ვარ თვითმხილველი და ავტორი იმ საზარელი კადრებისა, რომლებმაც მთელი მსოფლიო მოიარა და ის განწყობა აჩვენა, რაც იქ სუფევდა. ქართველი ერი ტანკებს სიმღერით შეხვდა. ამის დავიწყება შეუძლებელია. ყველაზე მეტად გულსატკენი სწორედ ის არის, რომ ჩვენს მწყემსმთავარს არ დავუჯერეთ. ქაშვეთში წირვა-ლოცვა რომ აღვლენილიყო, დარწმუნებული ვარ, რუსული ტანკები გზაში დადნებოდნენ, რადგან ასე ღმერთთან ერთად ვიქნებოდით. ჩვენ კი იმ მძიმე წუთებში პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად დავრჩით, რომელთა დიდმა ნაწილმა ადგილიდან მოკურცხლა. ერთადერთი, ვინც ტრაგედიის ადგილას ბოლომდე დარჩა, ირაკლი ბათიაშვილი იყო, რომელიც საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს. დარბევის მერე დანარჩენები იქ აღარ მინახავს.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, ისევ იგივე გრძელდება — საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელსაც ღირსების შეგრძნება დაკარგული აქვს და აკერმანის თუ თორნტონების შხამით არის მოწამლული, რუსთაველის გამზირზე დგას და საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ აქციებს მართავს. იქ მდგომთა „ელიტას“, ძირითადად, მჩხიბავები, ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი მოცეკვავე კაცები, ჯადოქრები, ჭინკები შეადგენენ. შემაძრწუნებელია, როგორ დგანან გუნდად 18-19 წლის გოგონები და უკანასკნელი სიტყვებით იგინებიან. თან თავიანთ „გმირობას“ იღებენ და მერე საიტებზე დებენ — ამაყობენ, რომ დედას საჯაროდ იგინებიან. ამ გაუთავებელმა „პერფორმანსებმა“ — საახალწლო ნაძვისხის ძირში ადამიანების ფიტულების დაწვამ, წარმართობამ, სექტანტობამ, წარმოუდგენელი ფორმა მიიღო. ეს ყველაფერი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული და მაკკეინის ინსტიტუტს, დიფ სთეითს, იუესაიდს, ნედ-ს, ევროპულ ფონდებს და ევროპელ ბოროტმოქმედებს ემსახურება, რომელთაც ქართველი ხალხის მეგობრებად ასაღებენ. როგორ შეიძლება ჩვენი მეგობარი იყოს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარგუს ცაჰკნა, რომელიც რუსთაველზე ანტისახელმწიფოებრივ მიტინგებში მონაწილეობდა და ახლა ევროკავშირს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერებისკენ მოუწოდებს. თითქოს ეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია.

ივანიშვილი ოცი წელია, საქართველოდან არსად გასულა, მხოლოდ ერთხელ, პრემიერ-მინისტრობისას იმყოფებოდა ბრიუსელში. ანუ ვიზალიბერალიზაციის შეჩერებისკენ მოწოდება, პირველ რიგში, სწორედ იმ ქართველი ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული, ვითომ რომლის გვერდითაც დგანან. ჩეხეთის ელჩი ბედავს და ამბობს: საქართველომ დემოკრატიის გზაზე უკან დაიხია, სააკაშვილის დროს კი „დემოკრატიის შუქურა“ იყოო. თუ როგორი „დემოკრატიის შუქურა“ იყო საქართველო მიშას დროს, ამას პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომებზე — ქართულ ნიურნბერგის პროცესზე, ყოველდღე პირდაპირ ეთერში ვისმენთ. ევროკავშირის ბიუროკრატია კი ცდილობს, საპირისპიროში დაგვარწმუნოს. არადა, ტრამპის ადმინისტრაციამ ამხილა, თუ როგორი გადაგვარებულია ევროკავშირიც და მისი ჩინოვნიკებიც. აი, ამ გადაგვარებულ სივრცეში გვექაჩებიან ე. წ. ოლე-ოლა ევროპის მცველები ბოროტი დედაბერის თამადობით, რომელსაც თავი დღესაც პრეზიდენტად მოაქვს. ეს თვალთმაქცობა, მენტალური გადაგვარება იმაზე მეტყველებს, რომ ხიდი რაც თქვენს შეკითხვაში ახსენეთ, მაინცდამაინც წარმატებული ვერ არის.

— 1989 წლის 9 აპრილის ერთგვარი სიმბოლო ახალგაზრდა კაცია, რომელიც ტანკს ჯოხს ურტყამს. მისი მთავარი სატკივარი ეროვნული ფასეულობების დაცვა უფრო იყო და არა — პოლიტიკურის. ჩვენი ეროვნული ფასეულობებისთვის საბჭოთა კავშირს ხელი რომ არ ეხლო, როგორ ფიქრობთ, საქართველოში ასეთი მძაფრი ანტისაბჭოთა დამოკიდებულება მაინც იქნებოდა?

— ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი იყო 9 აპრილის მოვლენების შემდეგ რეფერენდუმის ჩატარება. რა ვკითხეთ მაშინ ქართველ ხალხს — უნდოდა თუ არა მონობა?! სამიათასწლოვანი ისტორიის მქონე ერისთვის რა საკითხავი იყო, უნდოდა თუ არა დამოუკიდებლობა! რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის დაშლაში 9 აპრილმაც გარკვეული როლი ითამაშა, თუმცა, არასწორია წარმოდგენა, თითქოს საბჭოთა კავშირი ამან დაანგრია. რეალურად, საბჭოთა კავშირი იგივე მიზეზებით დაინგრა, რაც ახლა ევროკავშირს ანგრევს — საფუძველი მთლიანად ჩამოლპა, რადგან ყველაფერი თვალთმაქცობა, ტყუილი იყო. ევროკავშირმა ისევე, როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირმა, თავი ამოწურა.

ქართველი ხალხის ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო. ბრძოლის სადავეებთან ისეთი ხალხი იდგა, როგორიც მერაბ კოსტავა — ქართული საზოგადოების სინდისი იყო. ტელეკომპანია „იმედმა“ ახლახან აჩვენა ჩემი დოკუმენტური ფილმი „კართაგენი უნდა დაინგრეს“, სადაც ნათლად ჩანს განწყობები: ვინ რისთვის იბრძოდა, რა წადილი ჰქონდა, ვინ მონაწილეობდა პროცესში სუფთა გულით და ვინ — მერკანტილური ინტერესებით. იმ ეპოქის სიმბოლო მერაბ კოსტავაა. იგი სინდისის პატიმარი გახლდათ, რომელსაც დანაშაული არასდროს ჩაუდენია. 11 წელი პატიმრობაში იყო, 169 დღე იშიმშილა და ციხიდან რომ გამოვიდა, 48 კილო იყო. დღეს კი ეს გადაგვარებული ევროპა სინდისის პატიმრებს იმ ადამიანებს უწოდებს, რომელთაც თავიანთ თანამოძმეებს პიროტექნიკა დაუშინეს. ეს ხომ იმ ადამიანების შეურაცხყოფაა, რომელთაც სამშობლოს, მის თავისუფლებას, ღირსებას სიცოცხლე შესწირეს. წარმოგიდგენიათ, ლაზარე გრიგორიადისიც და მერაბ კოსტავაც სინდისის პატიმრები არიან!!!

— რას ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობა და რისთვის იბრძვის დღეს ქართველი?

— ჩემი ღრმა რწმენით, დღეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი უმაღლეს ხარისხზეა აყვანილი, რაც ქართველი საზოგადოების დამსახურებაა, რომელიც ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა, რამაც ქართული სახელმწიფოებრიობის ზრდაც განაპირობა. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც გაბედა მსოფლიოსთვის ეთქვა, რომ თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. და, ეს მაშინ, როცა ამ გავარვარებულ მსოფლიოში, ევროპის ცენტრში დამანგრეველი ომი მიმდინარეობს. ახლახან ტრამპმა მსოფლიოს სავაჭრო ომი გამოუცხადა. სწორედ ამ მოცემულობაში ქართული სახელმწიფო, საზოგადოება თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. საზოგადოება სახელმწიფოს დასაყრდენია, რომელიც არჩევნებზე საკუთარ ნებას გამოხატავს. ასე რომ, დღეს როგორც არასდროს, ისეა გაზრდილი დამოუკიდებლობის ხარისხი.

ქართველმა საზოგადოებამ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სამოქალაქო ომები, გაჭირვება, ქვეყნის ნგრევა, ძარცვა გამოიარა, რასაც ხაზარაძე-ჯაფარიძე სჩადიოდნენ. დიახ, 90-იან წლებში, როცა ხალხი შიმშილობდა, ისინი სწორედ მაშინ გამდიდრდნენ. ბოლო 35-მა წელმა იქამდე მიგვიყვანა, რომ სამშვიდობოს გავედით და დღეს საქართველო დამოუკიდებელი, ღირსეული ქვეყანაა, რომელიც პოლიტიკურ რუკაზე საპატიო ადგილს იკავებს.

მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც უნარი შესწევს, საკუთარი ინტერესები, ღირსება დაიცვას. ამ დროს ევროპა ვერ ეგუება ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკას და იმ კანონებს ებრძვის, რაც ჩვენს სუვერენიტეტს, ეროვნულობას, ტრადიციებს, კულტურას კიდევ უფრო განამტკიცებს. დიახ, მათ არ აწყობთ ,საქართველომ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი აამოქმედოს, რაც მოზარდის გარყვნილებას კრძალავს. ასევე, გვაიძულებენ, გავაუქმოთ კანონი, რომლის თანახმადაც, ქართველ ხალხს ეცოდინება, თუ რას ხმარდება უცხოეთიდან შემოსული უკონტროლო ფული. აი, რას ვერ გვპატიობენ, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ეს ფული ქართული სახელმწიფოს დანგრევას და საზოგადოების გარყვნას ხმარდება. მაკკეინის ინსტიტუტი, აკერმანი, ნედი, იუესაიდი, „ამერიკის ხმა“, რიგი ნჯო-ები და პოლიტიკური პარტიები, იმ მსოფლიო გლობალური ბოროტი ძალის ინტერესებს ემსახურებიან, რომელიც ომების ძირითადი წარმმართველია და ცდილობს, ყველა სახელმწიფო თავის დაკრულზე აცეკვოს. ეს ცეკვა რასაც ნიშნავს, უკრაინის მაგალითზე ვხედავთ. ეს სიკვდილის ცეკვაა, რაც საქართველოში ვერ განახორციელეს და სწორედ ეს ვერ მოუნელებიათ.

დავაკვირდეთ, როგორ გვიტევენ ბალტიისპირეთის ბიუროკრატები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროსაც და ახლაც ის „შნირები“ არიან, რომელთაც არც ნება გააჩნიათ და არც შესაძლებლობა, რათა საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაიცვან — რასაც უბრძანებენ, იმას ასრულებენ. ჩვენ გვედა-

ვებიან, რუსეთს სანქციებს რატომ არ უწესებთო და ამ დროს, ლატვია რუსეთისგან ყველაზე დიდი რაოდენობით არაყს ყიდულობს, ლიეტუვა კი, რომელსაც არც უნახავს, ვაზი როგორია, ყველაზე დიდი ოდენობით ღვინოს სწორედ რუსეთში ყიდის.

ასეთი რეალობაა მსოფლიოში. ამ დროს ეს ბოროტმოქმედი ვითომ ოპოზიცია, პარიზელი ქაჯანას მეთაურობით ცდილობს, ქვეყანა უბედურებაში ჩაითრიოს. სააკაშვილი იყო და მოქალაქეობაზე უარი თქვა, სხვა ქვეყანაში გუბერნატორად დაინიშნა და იქიდან არაჟნის კონტეინერებთან ერთად დაგვიბრუნდა. პარიზელი ქაჯუნა კი, ქალაქ-ქალაქ დადის და საკუთარ ქვეყანას ჩირქს სცხებს, საქართველოს დემოკრატიას უკუსვლა აქვსო. ევროპელები ზურაბიშვილისგან ისმენენ, რომ საქართველოში არჩევნები გაყალბდა, რაც სიცრუეა და ამის შესახებ თავადაც იციან. ხაზარაძემაც ხომ მშვენივრად იცის, რომ თაღლითია. მერამდენე ბიზნესმენის ისტორიას ვისმენთ საგამოძიებო კომისიის სხდომებზე, მისი „გმირობების“ შესახებ. ანდაც ვინ შეარქვა სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“? — იმ ევროპელმა დემოკრატებმა, დიფ სთეითმა, რომლის მსახურიც მიშა გახლდათ. იგი, ასევე, რუსეთის მსახურიც იყო, რომელსაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიების 20% გადასცა. კარგია, რომ ამას საზოგადოებაც ისმენს. ამის მერე, როგორი ბრმა, ყრუ, სულგაყიდული, სამშობლოგაყიდული უნდა იყო, რომ მხარს ამ ბოროტ ძალას უჭერდე და ოლე-ოლას ძახილით შიგ ევროპაში მიდიოდე.

— ბატონო გოგა, თქვენ ახსენეთ რომ ევროპა „ფარას“ კანონის მიღებას არ გვპატიობს. ახლახან გაერო-მ განაცხადა, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული „ფარას“ და სხვა კანონები საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებს ეწინააღმდეგება...

— ვის დაჰკარგვია, ეს გაერო, უსაქმურების თავყრილობაა და მეტი არაფერი. ტრამპმა მსოფლიოს ტარიფების ომი გაუმართა, მათ ეკონომიკებს განადგურებით ემუქრება და სჯობს, გაერო ამაზე შეშფოთდეს, მაგრამ რატომღაც, დუმს! ამერიკის პრეზიდენტმა რომ გრენლანდიისა და კანადის მისაკუთრებაზე პრეტენზია გამოთქვა, ამაზე რატომ არ შფოთდებიან?!

საქმე ის არის, რომ მათ ცენტრიდან რასაც უბრძანებენ, იმას ლაპარაკობენ. თავში ქვა უხლიათ, თუ ჩვენი კანონებით შეშფოთებულნი არიან, გრილი „დუში“ მიიღონ, ან გრენლანდიაში გაისეირნონ, იქ ჯერ ისევ თოვლი დევს და გაგრილდებიან.

— რამდენიმე დღის წინ პრემიერი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს შეხვდა და უცხო ქვეყნების სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევაზეც ისაუბრა. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ბრიტანეთმა მოსამართლეებს სანქციები გონივრული ეჭვის საფუძველზე დაუწესა?

— ევროპა აღარ არსებობს, დაინგრა. აბა, სხვა რა შეფასება გავაკეთო, როცა ბრიტანეთის სახელმწიფო გონივრული ეჭვის საფუძველზე მოსამართლეებს ასანქცირებს, რაც სამარცხვინოა. ჯერ ერთი, გადავხედოთ ბრტანეთის ბოლოდროინდელი პრემიერების სიას, კრიტიკას ვერ უძლებს. ჯონსონი რომ გეყოლება პრემიერად, ეს ქარაფშუტა არსება, რომელიც მუხლამდე სისხლში დგას, რაღაზე უნდა ილაპარაკო. ამ ბოროტმოქმედმა ჩაშალა მოლაპარაკება, რის შედეგადაც უკრაინა დღეისთვის უკვე დაკარგულ ტერიტორიებსაც ინარჩუნებდა და უამრავი ადამიანის სიცოცხლეც გადარჩებოდა. ბრიტანეთმა სახელმწიფო დაკარგა, სინდისის დაკარგვაზე აღარაფერს ვამბობ.

— მომიტინგეები 9 აპრილს ქაოსის შექმნას აპირებენ. როგორც აცხადებენ, ხელისუფლებას 9 აპრილის მემორიალთან არ მიუშვებენ...

— არავითარი ქაოსი არ იქნება, ნეტავ, რისი თავი აქვთ. რამდენიმე დღის წინ კონფერენცია გავმართე და იქაც განვაცხადე, ჭკუით იყვნენ, თორემ ქართველ ხალხს ვერ გაგვასწრებენ.

პროვოკაციების მცდელობა იქნება, მაგრამ ამაზე საკადრის პასუხსაც მიიღებენ.

— ბოლოს მინდა საგამოძიებო კომისიის მუშაობაზეც გკითხოთ, როგორ ფიქრობთ, რასაც ვისმენთ, ეს ნაცრეჟიმის მიმართ ახალგაზრდების განწყობას შეცვლის?

— თუ სინდისი, ღირსება გააჩნიათ, დარწმუნებული ვარ, ნაცების მიმართ მათი დამოკიდებულება შეიცვლება. თუ არ შეიცვლება, მაშინ, როგორც პიროვნებები დაღუპულან და ეგ არის.

თამარ შველიძე

ოპოზიციამ უცხოური აგენტის როლი მყარად მოირგო

გვესუბრება
ზაალ ანჯაფარიძე

- როგორ ხვდება ქართული ოცნება 9 აპრილს ამ ისტორიულ თარიღს ოკუპირებული ტერიტორიების პირობებში? რამდენად სავარაუდოა უახლოეს მომავალში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება? რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ამისთვის?

- მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნებაც“ და მისი წინამორბედი ხელისუფლებაც 9 აპრილს ქვეყნის ოკუპაციის პირობებში აღნიშნავდა და ამ მხრივ რამე ცვლილების პერსპექტივა, სამწუხაროდ, არ ჩანს. ალბათ, ახლაც ასე მოხდება. ჩვენ ცხრა აპრილის აღნიშვნა ისევ ოკუპაციის პირობებში მოგვიწევს. თუმცა, წელს, როგორც მე ვიცი, ოპოზიცია კიდევ ერთ აქციას აანონსებს. შესაძლოა, ცხრა აპრილმა ისე არ ჩაიაროს, როგორც,

ვთქვათ, ადრე იყო - მიდიოდნენ გვირგვინებით ამკობდნენ 9 აპრილის გმირების მემორიალს და ა. შ. შესაძლოა, ამას დაემთხვეს ოპოზიციის საპროტესტო აქცია. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სამწუხაროდ, ჩემი შეფასებით, რაც, რა თქმა უნდა, ფაქტებისა და ტენდენციების ანალიზს ეყრდნობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უახლოეს პერსპექტივაში არ იკვეთება. უფრო მეტიც, შესაძლოა, საშუალო ვადიან პერსპექტივაშიც კი ამ მხრივ ჩვენ ვერ მივაღწიოთ საწადელს, რეგიონში თუ მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე.

- რას გეგმავს „ქართული ოცნება“ მიმდინარე წელს? რა სიახლეები აქვს?

- „ქართული ოცნება“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადება, საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე ცდილობს ტრამპის ადმინისტრაციასთან საერთო ენის გამონახვას, რომ ურთიერთობების გადატვირთვას მიაღწიოს. შიდა პოლიტიკური კუთხით მიმდინარეობს საგამოძიებო კომისიის სხდომები და შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობა“ არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს და აიკრძალოს.

- „მეგობარი აქტის“ მიღება რა გავლენას მოახდენს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებზე და როდის და როგორ გადაიტვირთება ეს ურთიერთობები?

- თუ „მეგობარ აქტს“ მიიღებენ და პრეზიდენტი ტრამპი ხელს მოაწერს და ამოქმედდა, ის ნეგატიურად იმოქმედებს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებზე. შესაძლოა, ჩვენ დავივიწყოთ ის ყველაფერი, რაც ადრე იყო და ურთიერთობები ახალი ფურცლიდან დავიწყოთ. „მეგობარ აქტში“ ამას ბევრი ყურადღებას არ აქცევს. მითითებულია ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს გაუწევს სამხედრო დახმარებას, გადახედავს სავიზო შეთანხმებას და ამას მოახდენს მხოლოდ მას შემდეგ. რაც საქართველო დემოკრატიის გზას დაუბრუნდება. ამერიკელებისთვის დემოკრატიის გზაზე დაბრუნება ნიშნავს ხელისუფლების ცვლილებას, ხელისუფლების ცვლილება კი აქ მოსალოდნელი არ არის. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ეს აქტი ამოქმედდა, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები გაცივდება და საკმაოდ დიდი ხნით.

- რამდენად შესაძლებელია, პარლამენტში ახალშექმნილმა საგამოძიებო კომისიამ მიზანს მიაღწიოს? როგორ ფიქრობთ, აიკრძალება „ნაცმოძრაობა“ და შესაძლებელი იყო თუ არა აგვისტოს ომის თავიდან აცილება?

- მე, როგორც კონფლიქტების სპეციალისტი, ამ სფეროში რამდენიმე წელიწადია, ვმუშაობ. აგვისტოს ომის თავიდან არიდება ნამდვილად იყო შესაძლებელი. ამას სრულიად ცალსახად ვაცხადებ. მაგრამ აქ იყვნენ ჩართული გარკვეული ძალები, მათ შორის, გარე ძალები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ კონფლიქტის გადაზრდას შეიარაღებულ დაპირისპირებაში. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, მე ვფიქრობ, რომ ის აიკრძალება, რადგან ეს იყო „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება და თუ „ნაცმოძრაობა“ არ აიკრძალა, მაშინ რა აზრი ექნება ამ კომისიის მუშაობას?! ყველამ ვნახეთ, როგორ ჭიხვინებდა სიხარულით ოპოზიცია სალომეს მეთაურობით, ხელისუფლებამ გარედან ერთ დღეში ხუთი დარტყმა მიიღოო (სანქციები, განცხადებები). იმდენად მყარად მოირგეს უცხოური აგენტურის როლი, რომ ამით ვნებას და კმაყოფილებას განიცდიან. რა გაეწყობა, ეს ის ხვედრია, რაც თავად ირჩიეს. პასუხი ამაზეც მოეთხოვებათ, როცა დრო მოვა.

ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი კი, მათ შორის, ისინიც, ვისაც მიზეზთა გამო შეიძლება არ მოსწონს ეს ხელისუფლება, იმედია, ხვდება, რომ ამ აგენტურის ხელისუფლებაში მოსვლა ძალიან მალე დააკარგვინებს საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, იდენტობას და კიდევ ბევრ რამეს, რასაც დღემდე გარე ძალასთან უთანასწორო ბრძოლაში სიმწრით ვიცავთ.

ჯერ კიდევ არ მოგვისმენია და არ გაგვიგია ბოლომდე, თუ რა დოკუმენტების გამოშზეურებას აპირებს ეს კომისია. ჯერ მიმდინარეობს მოწმეების დაკითხვა. მაგრამ ამით ხომ არ შემოიფარგლება კომისიის მუშაობა? კომისიას, ასევე, უწევს უამრავ დოკუმენტთან მუშაობა, რომელთაგან ზოგიერთი საჯაროა, ზოგიერთი - არასაჯარო. ეს არის კომისიის მუშაობის დახურული ნაწილი და ვნახოთ, რა დოკუმენტებს დადებენ იმიტომ რომ დოკუმენტალური მტკიცებულების გარეშე ეს ვერ მოხდება დანაშაულების დადასტურება. რა თქმა უნდა, ბევრი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია 2008 წლის აგვისტოს ომთან, განადგურდა, მაგრამ ზოგიერთი დარჩა. შესაბამისად, მიდის მათზე მუშაობა. რა შედეგზე გავლენ, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ.

- ევროკავშირთან მიმართებით ხომ არ შეიცვლება პოზიციები? ევროკავშირი ბოლო დროს ჩვენ მიმართ მკაცრი პოლიტიკით გამოირჩევა...

- მე არ ველოდები ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებას. ასე რომ, ვფიქრობ, ის სტატუს კვო, რაც ამჟამად არსებობს, შენარჩუნდება.

ნაზი ბერიძე

სტუდენტების მთავარი ფუნქცია სწავლაა და არა ქუჩაში დგომა



გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი ბაღათერ არაბული:

— ბატონო ბაღათერ, საქართველო აშშ-სთან ურთიერთობის გადატვირთვის მოლოდინშია, თუმცა, მისი ადმინისტრაცია ჯერჯერობით დუმს. აქაური რადიკალები კვლავ ქაოსისთვის ემზადებიან. მოწოდების სიმაღლეზე არიან მათი პატრონებიც...

— საქართველოში რთული პოლიტიური გარემოა, რასაც ხელს როგორც შიდა, ისე გარე მტრებიც უწყობენ. მსოფლიოში მიმდინარე არცთუ სახარბიელო მოვლენები ჩვენს ქვეყანაზეც აირეკლება. ტრამპმა ლიბერასტულ იდეოლოგიასთან ბრძოლა დაიწყო, თუმცა, მისი დამარცხება მარტივი არ გახლავთ. საქართველოს ხელისუფლება მოლოდინის რეჟიმშია. აშშ-ის 47-ე პრეზიდენტმა მოსვლისთანავე, ინაუგურაციაზე განაცხადა: ან „დიფ სთეითი“ დაამარცხებს ამერიკას, ან ამერიკა — „დიფ სთეითსო“. „დიფ სთეითი“ წარმატებით მართავდა აშშ-ს მეხსიერებადაკარგულ მმართველს, რომელმაც მსოფლიო ლამის კატასტროფამდე მიიყვანა. ახლა გლობალური ომის პარტია ცდილობს, ტრამპი მოათვინიეროს და სადავეები ისევე ხელთ ჩაიგდოს, როგორც ეს ბაიდენის მმართველობის დროს ჰქონდა. მოკლედ, რთული ბრძოლა მიდის. დღეს ბევრი საუბარია იმაზე, თუ ვინ გამოვა გამარჯვებული რუსეთ-უკრაინის ომიდან. საქმე ის არის, რომ ამერიკას სულაც არ აწყობს, ამ ომში რუსეთი დამარცხდეს. ომი რუსეთის დასასუსტებლად და არა მის დასამარცხებლად დაიწყო. რუსეთის დამარცხება კაცობრიობას ატომურ კატასტროფამდე მიიყვანს. გეგმა ასეთი იყო: რუსეთის დასუსტების შემდეგ იერიში ჩინეთზე უნდა მიეტანათ, რათა ამერიკას კვლავ ჰეგემონის სტატუსი შეენარჩუნებინა.

რაც შეეხება საქართველოს, ხელისუფლებამ გლობალური ომის პარტიაზე საუბარი ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დაიწყო. გასაკვირია, რომ ტრამპი ჩვენთან მიმართებით პრინციპულ პოზიციას არ აფიქსირებს. ქალაქის მერმა კახა კალაძემ კიდეც აღნიშნა: მოლოდინი მქონდა, რომ ტრამპის ადმინისტრაცია საქართველოს ხელისუფლებას მადლობას ეტყოდა იმისთვის, რომ „დიფ სთეითზე“ ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდა, როცა ამას ვერავინ ბედავდაო. თუმცა, მადლობის ნაცვლად, აშშ-იდან სრული დუმილია. დღეს ტრამპის ბანაკში აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში არეულობის, დესტაბილიზაციის შექმნისა და მთავრობის შეცვლის მომხრენი არიან. ერთ-ერთი მათგანია ჯო უილსონი, რომელიც მუდმივად საქართველოს დემოკრატიის უკუსვლაზე საუბრობს და იმუქრება: ავტორიტარიზმისკენ სვლას აშშ-იდან მკაფიო პასუხი გაეცემაო, თანაც სანქციებით გვაშინებს.

ახლახან სენატმა უილსონის მიერ ინიცირებული „მეგობარი აქტი“ დაამტკიცა, რომელიც ვითომ ქართველი ხალხის მხარდასაჭერად შეიქმნა. ეს ხომ ცინიზმია. ვის აინტერესებს ქართველი ხალხი?! გამობრძანდნენ შაჰინი და რიში და საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიის დაცვა მოსთხოვეს. მეტიც, შაჰინს თავხედობა ეყო და პირდაპირ განაცხადა: მთავრობა პატივს არ სცემს ქართულ ტრადიციებს და საკუთარ კონსტიტუციასო. ეს მარაზმია. ჩვენ ხომ სწორედ მათგან გვიწევს ჩვენი ტრადიციების, კულტურის, ფასეულობების დაცვა. ევროკომისარმა მიგვითითა: „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი სასწრაფოდ უკან გაიწვიეთო. ღიად გვთხოვენ, ჩვენს ტრადიციებზე უარის თქმას და გარყვნილების პროპაგანდას. გარე აქტორები ცდილობენ, აქ ქაოსი შექმნან და რადიკალური ოპოზიცია წაახალისონ. სწორედ ამას ცდილობს სენატიც, თავისი „მეგობარი აქტით“ საპროტესტო ტალღა გააღვივოს. აქვე საყურადღებოა ისიც, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია არ ჩქარობს, ბაიდენის მიერ დაწესებული სანქციები მოგვიხსნას. აშშ-მ ვითომ რუსეთთან კავშირების გამო, ივანიშვილი დაასანქცირა და ამ დროს თავად ტრამპი რუსეთთან პირდაპირ მართავს მოლაპარაკებებს. ეს ყველაფერი არალოგიკურია.

— ამ ფონზე ოპოზიცია თავის წინამძღოლ ზურაბიშვილთან ერთად, ანტიქართულ საქმიანობას განაგრძობს...

— დიახ, ოპოზიცია ცდილობს, ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს. ეს ამაო მცდელობაა. როგორ შეიძლება, ანტიეროვნული სულის ადამიანი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლობაზე დებდეს თავს?! **როგორც ყვავი ვერ იქცევა მტრედად და ფერს ვერ შეიცვლის, ასევე ოპოზიციის საქმეც.** ისინი ლიბერასტული იდეოლოგიის მატარებელნი არიან, რომლებიც ყოველგვარ ეროვნულს, ტრადიციულს, მშობლიურს ებრძვიან. 31 მარტს ზვიადის დაბადებისა და რეფერენდუმის ჩატარების დღეს აქცია გამართეს, არადა, თვითონ ეროვნულ მოძრაობას ებრძოდნენ. სწორედ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ახლა საგამოძიებო კომისიის სხდომაზე არ ცხადდება, ებრძოდა მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, რომელთაც თავისი აქტივისტებიანად უკან დასდევდა. დღეს აცხადებენ, ეროვნულ მოძრაობას ვიწყებთო. ოპოზიციაში დიდი დაბნეულობაა. ზურაბიშვილს ისევ პრეზიდენტად მოაქვს თავი და ვერ ხვდება, რომ ხალხს კი არა, ოპოზიციასაც აღარაფერში სჭირდება. ფაქტობრივად, ოპოზიცია აღარ არსებობს. ეს აქციებიც მათ მიერ დაგეშილი ახალგაზრდების ქაოსური მოძრაობაა, შინაარსს და ყოველგვარ საზრისს მოკლებული.

დღეს რა ფუნქცია აქვთ ახალგაზრდებს? — ქუჩაში დარბიან და ყვირიან: არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობაო. ეს არის მათი მთავარი დანიშნულება?! რეალურად, მათ სულ სხვა მისია აკისრიათ — მოსწავლე სკოლაში უნდა იყოს, სტუდენტი — ლექციაზე, ისინი კი დღედაღამ აქციებზე დგანან, რაც დიდი შეცდომაა. სწავლაა მათი მთავარი ფუნქცია და არა ქუჩაში დგომა.

პრემიერმა საუნივერსიტეტო რეფორმა დაანონსა, რაც დროულია. განათლების სისტემა სერიოზულ გარდაქმნას საჭიროებს. „კმარელი“, დანიშნული პროფესორების გამოზრდილნი რომ არიან ეს ახალგაზრდები, იმიტომაც მივედით დღეს იქამდე, სადამდეც მივედით. დიახ, თუთბერიძის მიცემული განათლების შედეგია ის ბავშვები, რომლებიც დღეს რუსთაველის გამზირზე დგანან. უნივერსიტეტის რეფორმას სასკოლოც უნდა მიებას. ყველაფერი სკოლიდან იწყება. გაკვეთილების, ლექციების გაცდენა დასჯადი უნდა იყოს. მახსოვს, 30-საათიანი გაცდენის გამო უნივერსიტეტიდან მრიცხავდნენ. დღეს 30-დღიანი დასწრებაც თუ არ ექნებათ სტუდენტებს, ამისთვისაც კი არავინ არაფერს ეუბნება. ის პროფესორ-მასწავლებლები, რომელბიც ბავშვებს აგიტაცია-პროპაგანდას უტარებენ, ლექციები დატოვონ და ქუჩაში იხეტიალონ, უკლებლივ ყველა უნდა დაისაჯოს და სამსახურიდან გათავისუფლდნენ. სკოლებსა და უნივერსიტეტებში პატრიოტი მასწავლებლები, ლექტორები უნდა შეირჩნენ, რომლებიც ბავშვებს პატრიოტებად აღზრდიან. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს — მოსწავლემაც, სტუდენტმაც და ხელისუფლებამაც. არ შეიძლება, ვისაც როდის მოეპრიანება, ადგეს და ქუჩა გადაკეტოს. ეს ანარქიაა, რაც ქაოსს ქმნის და ქვეყანა დასუსტებამდე, განადგურებამდე მიჰყავს.

— როგორ აფასებთ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობას?

— საგამოძიებო კომისიის შექმნა აუცილებელი და დაგვიანებულიც კია. აქამდე დასავლეთიდან ხელისუფლებაზე ზეწოლა იყო, რომ ნაცებისთვის ხელი არ ეხლოთ. ყველა დამნაშავე, ვინც ქვეყანას ულალატა, მკაცრად უნდა დაისაჯოს. ემზარ კვიციანის გამოკითხვას რომ ვუსმენდი, ემოციებს ვერ ვიკავებდი. იგი კბილებით იცავდა ჩვენს ტერიტორიებს, სანამ იქიდან არ გამოაგდეს. სანამ დალის ხეობა რუსებს არ ჩააბარეს და ზემო აფხაზეთად არ გამოაცხადეს, იქამდე არ მოისვენეს. ვინც ეს გააკეთა, ქვეყნის მოღალატედ, ტერიტორიების გამყიდველად უნდა გამოცხადდეს და მაქსიმალური სასჯელი მიეზღოს. დიახ, ყველამ პასუხი უნდა აგოს, რათა სამომავლოდ სამშობლოს ღალატი აზრად არავის მოუვიდეს. ჩვენს ქვეყანას წინ ბევრი გადასალახავი წინააღმდეგობები აქვს, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება გამოკვეთილად ადგას მშვიდობის გზას. ღმერთმა ქნას, გადავრჩეთ. ემზარ კვიციანი პარლამენტიდან რომ გამოვიდა, იდეოლოგიური ნაბიჭვრები დახვდნენ და მონა ეძახეს კაცს, რომელიც სამშობლოს ბოლომდე ფარივით იცავდა. რუსეთის მონა ეძახეს იმ კაცის მონებმა, ვინც ქვეყანა გაყიდა!

საგამოძიებო კომისიის სხდომებზე სასტიკ ისტორიებს ვისმენთ და ამ დროს გამოდის ეუთო/ოდირი და თითს გვიქნევს, ხოშტარია ციხეში როგორ აწამეთო. ეს ანომალიაა. ეს ვითომ პოლიტიკოსები, სინამდვილეში კი აფერისტები, ღირსების დაკარგვის ფასად ყველაფერზე მიდიან. უცხოეთიდან ქვეყნის ნგრევისთვის რა ფულსაც იღებენ, ეს ჩემი მთელი სოფლის ბიუჯეტს აღემატება. იმედია, ოხანაშვილი ყველა ორგანიზაციას კონტროლზე აიყვანს და ვინც ფულს ბავშვების დატრენინგებაში იხდის, თუ როგორ ესროლონ შენობებს და პოლიციელებს პიროტექნიკა, მოლოტოვის კოქტეილები, აკრძალავს. ასევე, ელჩები რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ აქციებზე დადიან და ოპოზიციას აკვალიანებენ, ხელისფლება როგორ დაამხონ, ქვეყნიდან უნდა გაძევდნენ. მათ საქართველოში დესტაბილიზაცია სურთ. საქართველო კიდევ ერთ გადატრიალებას ვეღარ გაუძლებს. მერე რომელი მეზობელი, რა ტერიტორიას წაგვართმევს, კაცმა არ იცის. ბალტიის თუ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ერთხელ რომ დადგნენ ოპოზიციის მიტინგზე, მეორედ უკვე საქართველოში შემოსვლა უნდა ავუკრძალოთ. როთი ერთხელ რომ ჩამოვიდა, მეორედ უკვე უნდა გაგვეგდო. ასევე, აქტიურად ერევა ჩვენს საქმეებში ევროკავშირის ელჩიც. ჰოდა, ყველა ელჩი, ვინც აქ ანტისახელმწიფოებრივ მიტინგებში მონაწილეობს და ოპოზიციას აგულიანებს, საგარეო საქმეთა სამინისტროში უნდა დაიბარონ, გადაეცეთ ნოტა და საქართველოდან გაძევდნენ. წარმოიდგინეთ, საქართველოს ელჩი ამერიკაში თეთრი სახლის წინ რომ დადგეს და პიროტექნიკა ისროლოს, რას უზამენ. შეიძლება მოკლან კიდეც და თუ გადარჩა, გამოაძევებენ. საქართველოს ხელისუფლებამ მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს. ამათთან ლოიალური მოპყრობა არ შეიძლება. ყველა დამნაშავე მკაცრად უნდა დაისაჯოს!

თამარ შველიძე

„საერთო გაზეთის“ წინა, #12-ში აღშფოთება გამოვთქვი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს, 1992 წლიდან მოყოლებული, 89 გენერალი ჰყავს, რის გამოც, ზურგს უკან საქართველო დასაცინი გახდა სამხედრო წრეებში და არა მხოლოდ სამხედრო წრეებში — საკუთარ ხალხშიც კი!

მკითხველმა არ დააყოვნა და დამიკავშირდა, წარმოუდგენელ რამეს წერთ, ქალბატონო მაია, წყარო დამისახელეთ, საიდან აიღეთ ეს რიცხვიო; ჩინეთს აშშ-სთან ერთად ჰყავს 80 გენერალი და საქართველოს 89 გენერალი რანაირად ჰყავს, დაუჯერებელიაო.

უცნობ ადამიანს პატაკს ვერ და არ ჩავაბარებდი, მაგრამ ვინაიდან ვიფიქრე, რომ სხვასაც გაუჩნდებოდა მსგავსი უნდობლობა, გადავწყვიტე, საჯაროდ გამოვქვეყნო ქართველი გენერლების სია და ამასთანავე ბოდიში მოვიხადო, რადგან, თურმე კიდევ ყოფილან გენერლები...

არ ვიცი, ნამდვილი ამბავია და შემდეგ იქცა ანეკდოტად, თუ იმთავითვე ანეკდოტად დაიბადა: 90-იანი წლების დასაწყისში, უცხოელი სამხედრო ექსპერტი ჩამოსულა საქართველოში და თავდაცვის სამინისტროს სტუმრობდა ლექციის ჩასატარებლად. როდესაც დარბაზში შესულა და გაუპარსავი, ავტომატგადაკიდებული ახალგაზრდები დაუნახავს, ცხადია, არ ესიამოვნა და მორიდებით უთქვამს, ჩემი ლექციით მხოლოდ უმაღლესი რანგის ოფიცრები თუ დაინტერესდებიან, ამიტომ, გთხოვთ, მხოლოდ გენერლები და პოლკოვნიკები დაესწრონო. სასწრაფოდ მისულა ერთი-ერთი ყმაწვილი ფანჯარასთან და ეზოში შეკრებილებისთვის გადაუძახია, ბიჭებო, პოლკოვნიკებიც ამოდითო...

აბსოლუტურად უცვლელად გთვაზობთ სიას იმ ქართველი გენერლებისა, რომლებმაც 1992 წლიდან მიიღეს გენერლობა, მაგრამ არ ვურთავ იმ სიას, რომლებიც სხვადასხვა პირებმა ცალობით მომაწოდეს.

ზედმეტი ემოციებისთვის, შეგიძლიათ გადათვალოთ და ისიც გაიგოთ, რა ასაკში გახდნენ გენერლები, ხოლო რანაირად გახდნენ გენერლები, ეს ისეთი ამოუხსნელი ამბავია, ვის შეუძლია ამის ახსნა, წარმოდგენა არ მაქვს, — ყველა შემთხვევაში, ხალხს აინტერესებს!

ბოდიში, უფრო მეტი გენერალი გვყოლია!

❖ აბაშიძე ლერი ივანეს ძე (1935-94), გენერალ-ლეიტენანტი (1993).

❖ აბაშიძე დიულა ვაჟას ძე (1941-2004), გენერალ-მაიორი (1993).

❖ აბულაძე თენგიზ ესტატეს ძე (დ. 1953), გენერალ-მაიორი (2003).

❖ ადამია გენო აკაკის ძე (1936-93), გენერალ-მაიორი (1993).

❖ ბაიაძე შოთა მიხეილის ძე (1944-2011), გენერალ-მაიორი (1995).

❖ ბერიძე ალექსანდრე მიხეილის ძე (1917-96), გენერალ-მაიორი (1993), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1956), პროფესორი (1984).

❖ ბიწაძე ბადრი რევაზის ძე (დ. 1960), იუსტიციის გენერალ-მაიორი (1998), გენერალ-ლეიტენანტი (2005), იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (1991), საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (1997-2001).

❖ ბიწაძე რაჟდენ ბესარიონის ძე (1937-96), გენერალ-მაიორი (1994).

❖ ბუცხრიკიძე ელგუჯა აკაკის ძე (1947-2010), შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1992).

❖ გამყრელიძე ლევან ავთანდილის ძე (დ. 1970) ბრიგადის გენერალი (2014).

❖ გოგავა ზაზა ზურაბის ძე (დ. 1970), ბრიგადის გენერალი (2008), პოლიციის გენერალ-მაიორი (2008).

❖ გოგაშვილი გიორგი რევაზის ძე (დ. 1960), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ გოგიტიძე ნიკოლოზ ჯემალის ძე (დ. 1960), იუსტიციის გენერალ-მაიორი (1995), საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (1994-97) სრულუფლებიანი და საგანგებო დესპანი (2005).

❖ გრიგორაშვილი ბორის არკადის ძე (1933-93), გენერალ-მაიორი (1993).

❖ გურგენიძე ივანე გრიგოლის ძე (1941-2012), გენერალ-მაიორი (1992), გენერალ-ლეიტენანტი (1993).

❖ გურგენიძე რეზო აფრიკოს ძე (1951-2012), გენერალ-მაიორი (1997).

❖ დათუაშვილი პაატა ნასყიდას ძე (1954-95), გენერალ-მაიორი (1992).

❖ დუმბაძე თამაზ სევერიანის ძე (1936-2016), ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993) გენერალ-ლეიტენანტი (1999), „ვახტანგ გორგასლის“ I, II, III ხარისხის ორდენების კავალერი (1998).

❖ დუმბაძე რომან (1964-2012), გენერალ-მაიორი (1998).

❖ ეპიტაშვილი თენგიზ ვასილის ძე (1935-2003), გენერალ-მაიორი (1995), სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1977).

❖ ვაშაკიძე გიორგი გიულის ძე (დ. 1967), გენერალ-მაიორი (1993).

❖ ზარიძე ჯიმი შალვას ძე (დ. 1952), ბრიგადის გენერალი (2005).

❖ თათარაშვილი ნოდარ ივანეს ძე (დ. 1941), გენერალ-მაიორი (1994), გენერალ-ლეიტენანტი (1996).

❖ თათუხაშვილი გიორგი არსენის ძე (დ. 1959), პოლიციის გენერალ-მაიორი (2003), შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (2003) და გენერალ-ლეიტენანტი (2004).

❖ თევზაძე დავით დავითის ძე (დ. 1949), გენერალ-მაიორი (1998), გენერალ-ლეიტენანტი (1998), ფილოსოფიის დოქტორი.

❖ თორაძე გიორგი ედუარდის ძე (დ. 1957), გენერალ-მაიორი (1995).

❖ იმნაძე ვლადიმერ გურამის ძე (დ. 1954), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ ირემაძე გიგლა აკაკის ძე (1960-2004), გენერალ-მაიორი (2001), ვიცე-ადმირალი (2003), ადმირალი (გარდაცვალების შემდეგ 2004).

❖ იუკურიძე გიორგი ლუარსაბის ძე (დ. 1956), გენერალ-მაიორი (2002).

❖ კალანდაძე გიორგი ზურაბის ძე (დ. 1980), ბრიგადის გენერალი (2012).

❖ კამკამიძე ანატოლი მიხეილის ძე (1936-99), გენერალ-პოლკოვნიკი (1992), შეიარაღებული ძალების სარდალი.

❖ კაპანაძე ვახტანგ მიხეილის ძე (დ. 1960), ბრიგადის გენერალი (2004), გენერალ-მაიორი (2013) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი (2013-16). „ღირსების“ ორდენის პირველი კავალერი (1992).

❖ კვინიკაძე გიორგი ლევანის ძე (დ. 1946), გენერალ-მაიორი (1996).

❖ კიტოვანი თენგიზ კალისტრატეს ძე (დ. 1939), ეროვნული გვარდიის სარდალი (1991-93), „ვახტანგ გორგასლის“ I ხარისხის ორდენის კავალერი (1993)

❖ კობალაძე კობა თენგიზის ძე (დ. 1969), გენერალ-მაიორი (2001), „ვახტანგ გორგასლის” I, II, III ხარისხის ორდენების კავალერი (2002).

❖ კონცელიძე თენგიზ შუქრის ძე (დ. 1954), გენერალ-მაიორი (2000).

❖ კუპატაძე შალვა თენგიზის ძე (დ. 1956), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ ლანჩავა გელა მიხეილის ძე (1951-2006), შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1993), „ვახტანგ გორგასლის” I, II, III ხარისხის ორდენების კავალერი (1994).

❖ ლეკვეიშვილი ომარ დავითის ძე (დ. 1942), გენერალ-მაიორი (1997), გენერალ-ლეიტენანტი (2000).

❖ ლეჟავა დიმიტრი იუზას ძე (დ. 1955), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ ლორია თემურ უშანგის ძე (დ. 1951), გენერალ-მაიორი (1996)

❖ მაისურაძე დავით ესტატეს ძე (1936-93), გენერალ-მაიორი (1993).

❖ მენაბდე თამაზ იასონის ძე (1936-2003), გენერალ-მაიორი (1995).

❖ მეფარიშვილი ზურაბ სანდროს ძე (1936-2015), გენერალ-მაიორი (1996), გენერალ-ლეიტენანტი (1997).

❖ მეძმარიაშვილი ელგუჯა ვიქტორის ძე (დ. 1946), გენერალ-მაიორი (1999), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1994), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001), აკადემიკოსი (2013).

❖ მუსერიძე ნოდარ ომარის ძე (1932-2004), გენერალ-მაიორი (1995).

❖ მჭედლიშვილი ალექსანდრე ლევანის ძე (დ. 1961), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ ნადარეიშვილი თამაზ ვლადიმერის ძე (1954-2004), გენერალ-მაიორი (1993).

❖ ნაირაშვილი დავით შალვას ძე (დ. 1963), ბრიგადის გენერალი (2008), „წმ. გიორგის გამარჯვების” ორდენის კავალერი (2009).

❖ ნაირაშვილი ზურაბ შალვას ძე (1941-93), ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993).

❖ ნაყოფია ვალერიან დავითის ძე (დ. 1942), ავიაციის გენერალ-მაიორი (1996).

❖ ნიკოლაიშვილი გურამ გიორგის ძე (დ. 1953), გენერალ-მაიორი (1993), გენერალ-ლეიტენანტი (1996).

❖ ოშხერელი თენგიზ გრიგოლის ძე (დ. 1951), გენერალ-მაიორი (2001).

❖ რაზმაძე თენგიზ გორგასლანის ძე (1937-2015), გენერალ-მაიორი (1995).

❖ რამიშვილი ვაჟა ამბროსის ძე (დ. 1945), საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე (1999), იუსტიციის გენერალ-მაიორი (2000).

❖ რუსაძე ზაზა უჩას ძე (დ. 1951), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ სალია კორნელი კირილეს ძე (დ. 1965), ბრიგადის გენერალი (2005).

❖ სალუქვაძე ამირან სერგოს ძე (დ. 1965), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ სოხაძე დავით ირაკლის ძე (დ. 1960), გენერალ-მაიორი (1997), სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი (2004).

❖ სურმავა გიორგი გივის ძე (დ.1958) ბრიგადის გენერალი (2014).

❖ უღრელიძე გელა გენადის ძე (დ. 1960), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ უჩავა გიორგი ალექსანდრეს ძე (1954-2016), გენერალ-მაიორი (1993).

❖ უჩაძე ზაურ გიორგის ძე (დ. 1952), გენერალ-მაიორი (1993).

❖ ფირცხალაიშვილი ჯონი მიხეილის ძე (დ. 1947), გენერალ-მაიორი (1988), გენერალ-ლეიტენანტი (1999), სამვარსკვლავიანი გენერალი (2002).

❖ ქავთარაძე თეიმურაზ სტეფანეს ძე (1937-2002), გენერალ-მაიორი (1995).

❖ ქევხიშვილი ნუგზარ გიორგის ძე (დ. 1957), გენერალ-მაიორი (2001), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1999).

❖ ქვარაია ვალერი ლავრენტის ძე (დ. 1950), გენერალ-მაიორი (1993).

❖ ქუთათელაძე სამსონ თენგიზის ძე (დ. 1964), ბრიგადის გენერალი (2003). „ვახტანგ გორგასლის“ III ხარისხის ორდენის, საფრანგეთის “საპატიო ლეგიონის“ ორდენის (2008), საქართველოს ეკლესიის წმ. გიორგის ოქროს ორდენის კავალერი (2010).

❖ ყარყარაშვილი გიორგი ნოდარის ძე (დ. 1966), ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993)

❖ ყურაშვილი გუჯარ ამირანის ძე (დ. 1951), შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1993).

❖ ყურაშვილი მამუკა ნოდარის ძე (დ. 1970), ბრიგადის გენერალი (2007).

❖ შარტავა ჟიული კალისტრატეს ძე (1944-93), გენერალ-მაიორი (1993). საქართველოს ეროვნული გმირი, (გარდაცვალების შემდეგ, 2004).

❖ შერვაშიძე გიორგი სერგოს ძე (დ. 1955), შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1997), გენერალ-ლეიტენანტი (2003).

❖ შუბლაძე თენგიზ შალვას ძე (დ. 1953), გენერალ-მაიორი (1995), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (1998).

❖ შურღაია მერაბ ვალიკოს ძე (დ. 1958), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ შუშანაშვილი ალექსანდრე ამირანის ძე (1935-2000), იუსტიციის გენერალ-მაიორი (1993), საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (1992-94).

❖ ჩაჩიბაია ვლადიმერ ბორისის ძე (დ. 1971), ბრიგადის გენერალი (2014).

❖ ჩიგოგიძე მირონ ვიქტორის ძე (დ. 1955), ბრიგადის გენერალი (2003).

❖ ჩიქოვანი ვლადიმერ ოქროპირის ძე (1938), შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1993).

❖ ჩხეიძე ვალერი სერგოს ძე (დ. 1948), გენერალ-მაიორი (1994), გენერალ-ლეიტენანტი (1998), პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (2000).

❖ ცქიტიშვილი ავთანდილ ლევანის ძე (1950-2013), ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993)

❖ ძაგანია გივი ვლადიმერის ძე (1929-2012), იუსტიციის გენერალ-მაიორი (1994), საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის პირველი მოადგილე (1992-97).

❖ ჭანკოტაძე დევი ვახტანგის ძე (დ. 1960), გენერალ-მაიორი (1961), გენერალ-ლეიტენანტი (2012). წმ. გიორგის გამარჯვების ორდენის კავალერი (2009).

❖ ჭოჭუა ემზარ სიმონიეს ძე (დ. 1951), გენერალ-მაიორი (1996).

❖ ჭუმბურიძე ჯემალ ალექსანდრეს ძე (დ. 1938), ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993), გენერალ-ლეიტენანტი (1999).

❖ ხითარიშვილი ტარიელ გაბრიელის ძე (დ. 1948), გენერალ-მაიორი (1995).

❖ ჯავახიშვილი ალექსანდრე დავითის ძე (დ. 1932), კონტრადმირალი (1996).

❖ ჯახუტაშვილი პაატა გურამის ძე (დ. 1962), იუსტიციის გენერალ-მაიორი (2003), საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (2003-04).

❖ ჯიქია გიორგი დავითის ძე (დ. 1950), იუსტიციის გენერალ-მაიორი (2002), საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (2001-03).

❖ მათი ჯილდოების ჩამოთვლა საჭიროდ არ ჩავთვალე, მაგრამ გიორგი კალანდაძის ჯილდოებს გვერდი ვერ ავუარე, რამდენი მოუსწრია ამ თვითმგვემ ახალგაზრდა ყმაწვილს, თან რა ვირის ტლინკივით მიუყრიათ ჯილდოები:

❖ 2008 წელი — მე-3 ხარისხის უწყებრივი მედალი;

❖ 2009 წელი — მე-2 ხარისხის უწყებრივი მედალი;

❖ 2009 წელი — მედალი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“;’

❖ 2009 წელი — მედალი „გენერალი კვინიტაძე“;

❖ 2010 წელი — ღირსების ორდენი;

❖ 2010 წელი — მედალი „სამშობლოსთვის თავდადებული“ (ბარძაყდადებულის ნაცვლად);

❖ 2010 წელი — ვახტანგ გორგასლის 1-ელი ხარისხის ორდენი;

❖ 2012 წელი — ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი — ეს, ალბათ, მოსწრებაზე მიიღო.

ვიღაცამ იკითხა, რა იყო, რა დახუნძლულია კალანდაძე, „ბურია ვ პუსტინიე“-ს ხელმძღვანელობდაო?

ვინ და რას ხელმძღვანელობდა, არ ვიცი და, სწორედ ამას ითხოვს ხალხი, გაგვაგებინეთ, 1992 წლიდან მოყოლებული, ამდენი რისი გენერალი გვყავს და რატომ?

მაია ჭელიძე

ტრამპის თავზარდამცემი ტარიფები

„საერთო გაზეთის სტუმარია“ ფილოსოფოსი ოთარ ჯულუხაძე, რომელიც, ვფიქრობ, მეტად საინტერესოდ გვიხსნის მსოფლიოსთვის თავზარდამცემ ტრამპის ნაბიჯებს ტარიფებთან დაკავშირებით.

ტრამპის ტარიფების მიმართ სიყვარულმა მწიფე ნაყოფი გამოიღო. ეს მის სხვა პოლიტიკურ ნაბიჯებთან ერთად, გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ამერიკული კონსერვატიზმი **Good Old** ტრადიციებს უბრუნდება; მიბრუნების შედეგი, ცხადია, განსხვავდება პირველადი პრაქტიკისგან – მერკანტილიზმი, ოჯახური ღირებულებები, პატრიარქალური მიდგომები – ეს ყველაფერი სხვაგვარად იქნება წარმოდგენილი, ვიდრე ეს თავისი გაფურჩქვნის ხანაში იყო.

განსხვავებულია, ცხადია, ტარიფებიც: მაშინ, მე-19 საუკუნის დასაწყისში, ამერიკაში მეტწილად არ იყო გადასახადები და ფედერალური შემოსავლის უდიდეს წილს – ხშირად 100%-ს – სწორედ ტარიფები წარმოადგენდა; დღეს კი გადასახადები ნარჩუნდება, მაგრამ ტარიფს, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას, ტრამპმა ახალი სული შთაბერა.

ტრამპის ტარიფები პირდაპირ უკავშირდება აშშ-ის სავაჭრო დეფიციტის შემცირების მცდელობას, რომელიც წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო. დოლარის გლობალური დომინირება დიდწილად ეყრდნობა ამ მუდმივ დეფიციტს: აშშ მეტ საქონელს ყიდულობს, ვიდრე ყიდის, რაც საზღვარგარეთ დოლარის მასშტაბურ გადინებას იწვევს. თუმცა, ტრამპის ტარიფები მიზნად ისახავს ამ დეფიციტის შემცირებას. იდეა მარტივია: იმპორტის გაძვირებითა და შიდა წარმოების წახალისებით აშშ-მა შეიძლება გაზარდოს ექსპორტი და შეამციროს დამოკიდებულება უცხოურ საქონელზე, რაც გლობალიზაციისა და აუთსორსინგის შედეგად გაჩნდა. აუთსორსინგმა – როდესაც ამერიკულმა კომპანიებმა წარმოება გადაიტანეს ჩინეთში, მექსიკასა თუ ვიეტნამში ხარჯების შესამცირებლად – გააძლიერა დეფიციტი, რადგან აშშ-მა დაიწყო იაფი საიმპორტო საქონლის მასიური შეძენა, შიდა სამუშაო ადგილები კი დაიკარგა. ტრამპის მიდგომა ამ პროცესის შეჩერებას ისახავს მიზნად, რათა წარმოება დაბრუნდეს ამერიკაში (**reshoring**) და სავაჭრო დეფიციტი შემცირდეს.

საგულისხმოა, აგრეთვე, რომ ტრამპი 2024 წელს დაემუქრა ბრიქსის ქვეყნებს 100%-იანი ტარიფებით, თუკი ისინი განაგრძობდნენ დე-დოლარიზაციის გზაზე აქტიურ სვლას. დოლარის დომინაცია (დოლარი ჯერ კიდევ მსოფლიო სავალუტო რეზერვის 58%-ზე მეტია 2024 წლისთვის) ამერიკას კვლავ აძლევს საშუალებას, რომ დოლარი დე-დოლარიზაციასთან ბრძოლისას ამ ინსტრუმენტად გამოიყენოს. გავიხსენოთ, რომ ტრამპმა ტაკერ კარლსონთან ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანა, თუ დოლარის ჰეგემონიას დავკარგავთ, მეორეხარისხოვანი ქვეყანა გავხდებითო.

ტრამპი ცდილობს, რომ დაიცვას დოლარი შიდა მწარმოებელი ფინანსური კაპიტალისა და გარე აქტორების წინაშე, წაახალისოს რე-ინდუსტრიალიზაცია დოლარის ჯერაც ჰეგემონიური სტატუსის დახმარებით.

- რა რისკებს შეიცავს ეს და როგორ შეიძლება ამერიკას შემოუტრიალდეს?

- ტრამპის ტარიფების ომი უკვე არაერთმა ექსპერტმა გააკრიტიკა. კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი ხაზია ის, რომ ტრამპი ცდილობს ერთდროულად ორი მიმართულებით ბრძოლას: 1) მას სურს სავაჭრო დეფიციტის შემცირება სხვადასხვა ქვეყნებთან და ამავე დროს, 2) სურს დოლარის, როგორც გლობალური ჰეგემონის (მთავარი სარეზერვო ვალუტის) შენარჩუნება.

ეს ორი ხაზი, ზოგიერთი ეკონომისტის და ანალიტიკოსის (მაგ., ვაროუფაკისის, ბენ ნორტონის) აზრით, ურთიერთგამომრიცხავია: მართლაც, ამერიკის ჰეგემონია ემყარება სავაჭრო დეფიციტს – მას თავის ქვეყანაში შეაქვს იმპორტით მეტი, ვიდრე გააქვს საექსპორტოდ, თუმცა მას ეს „არ ანაღვლებს“, რადგან დოლარი მსოფლიო სარეზერვო ვალუტაა და სწორედ აშშ-ში იმპორტირებული საქონლის სანაცვლოდ, ის მსოფლიოს „ბერავს“ თავისი დოლარით, რომელიც საჭიროა, რადგან ეტწილად (ჯერ კიდევ) დოლარით ხორციელდება ნავთობით ვაჭრობა და ის მოწინავე სარეზერვო ვალუტაა.

ერთ-ერთი რისკი არის ის, რომ ტრამპის აგრესიულმა ტარიფებმა შესაძლოა, დააჩქაროს დე-დოლარიზაცია – როგორც მოკავშირეებში, ისე მეტოქეებში (ბრიქსის ქვეყნებში). თუ ღიჩშ-ის ქვეყნების ააჩქარებენ დე-დოლარიზაციას, აშშ-ის დოლარისადმი ნდობა შეიძლება შეირყეს, რამაც შეიძლება დოლარის სარეზერვო სტატუსის შესუსტება გამოიწვიოს. ნდობას არყევს ასევე აშშ-ის მიერ საკუთარი პარტნიორებისთვის „შემოლაწუნებაც“ (განსაკუთრეუბლი ტარიფი ევროკავშირს – 20%) – სარეზერვო ვალუტის სტაბილურობა, მოგეხსენებათ, ძალით გამყარებულ ნდობაზე დგას.

კიდევ ერთი რისკი – ეს არის ტარიფებით გამოწვეული ფასის მატება, განსაკუთრებით, ტრამპის დაბალშემოსავლიანი ამომრჩევლისთვის. თუმცა ტრამპის გეგმაა, რომ ტარიფების ომით წაახალისოს რე-ინდუსტრიალიზაცია

– ის, როგორც პოპულისტი და ნაციონალისტი, შეიძლება უფრო მოკლევადიან ეფექტებზე ზრუნავდეს, ვიდრე იმაზე, თუ რა შეიძლება დაემართოს დოლარს გრძელვადიან პერიოდში. მისი პრეზიდენტობის ვადაში, დოლარის სარეზერვო ვალუტის სტატუსი, დიდი ალბათობით, ისე კატასტროფულად ვერ დაზიანდება, რომ ამან ტრამპის პოლიტიკურ ფიგურას ზიანი მიაყენოს, ხოლო რე-ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განუხორციელებლობა მისი ამომრჩევლებისთვის უფრო საგრძნობი იქნება.

პრობლემაა, აგრეთვე, საპასუხო ტარიფები. აშშ-ის სახაზინო მდივანმა, სკოტ ბესენტმა ქვეყნებს ხისტად მოუწოდა, დონალდ ტრამპის მიერ გამოცხადებულ ახალ სანქციებს არ უპასუხონ. ეს მოწოდება არად ჩააგდო ჩინეთმა, რომელმაც უკვე გამოაცხადა საპასუხო ტარიფი – 34%. მსგავსმა ესკალაციამ შეიძლება შეამციროს აშშ-ის საგარეო ბაზრის წილი და დააზიანოს შესაძლო სარგებელი.

ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა: განა ტრამპმა და მისმა ეკონომიკურმა გუნდმა არ იციან, რომ ამერიკის ჰეგემონიის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი სწორედ სავაჭრო დეფიციტია?

ცხადია, იციან.

ტრამპისთვის მოტივაციაა ხილული პოლიტიკური გამარჯვება – სამუშაო ადგილების დაბრუნება, სავაჭრო დეფიციტის შემცირება, ჩინეთის დაზარალება. მათ უწევთ, გარისკონ. ტარიფებმა შეიძლება, გააძლიეროს წარმოება და სამუშაო ადგილები მოკლევადიან პერსპექტივაში (ვთქვათ, 2025-2026 წლებში), რაც ტრამპს პოლიტიკურ გამარჯვებას მოუტანს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საფრთხეს უქმნის დოლარის დომინირებას წლების შემდეგ. თუ მსოფლიო – ჩვეულების ან ეფექტიანი ალტერნატივების ნაკლებობის გამო – კვლავ დოლარს გამოიყენებს, ტრამპის ეკონომიკური გუნდის გათვლა შეიძლება იყოს ის, რომ: „საჭიროა სწრაფი ეფექტი! დაე, დოლარის ჰეგემონია დაზიანდეს (ცოტათი); ჰეგემონია საკმარისად მყარია – ის გაუძლევს რყევებს. 2025 წლისთვის ხომ გლობალური სარეზერვო ვალუტის 60%-მდე ჯერაც ამერიკული დოლარია და ნავთობით ვაჭრობა 75-80%-ით ხომ დოლარში მიმდინარეობს“.

საგულისხმოა ასევე ისიც, რომ ტრამპის გუნდი ხშირად უარყოფს მეინსტრიმულ ეკონომიკას. ისინი შეიძლება მიიჩნევდნენ, რომ დეფიციტები სისუსტის და არა ძალის ნიშანია, და რომ ტარიფებს შეუძლიათ, აიძულონ სხვა ქვეყნები, შეცვალონ ქცევა (მაგალითად, შეიძინონ მეტი ამერიკული საქონელი, ან გააუფასურონ საკუთარი ვალუტები). მათ იციან, რომ არსებობს წინააღმდეგობა – დეფიციტის შენარჩუნების აუცილებლობა – მაგრამ მას გადაულახავად არ მიიჩნევენ. მართლაც, 2019 წელს, როდესაც სავაჭრო დეფიციტი იყო 578 მილიარდი დოლარი, ამერიკის ჰეგემონია არ დაცემულა, – ახლა კი, როდესაც დეფიციტი ტრილიონის ფარგლებშია, შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხო ზონამდე (ვთქვათ 500-700 მილიარდ დოლარამდე) მისი შემცირება არ იქნება პრობლემა და სისტემა ფუნქციონირებას განაგრძობს.



„საერთო გაზეთი“

„ბუღალტრული შეცდომა, რომელიც ციხედ ღირს!“

არაპროგნოზირებადი და მძიმეა მსოფლიო პოლიტიკაში დღეს არსებული ვითარება, რომელიც, განმუხტვის ნაცვლად, ყოველდღიურად მწვავდება. როგორც ჩანს, გლობალისტები ცდილობენ მსოფლიოში გავლენის შენარჩუნებას, მიზნის მისაღწევად კი ყველა საშუალებას იყენებენ.

შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებამდე, მაშინ ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი ღიად საუბრობდა, რომ მის ქვეყანას ეკონომიკურ და სამრეწველო საკითხებში პარტნიორები უსამართლოდ ეპყრობოდნენ. იგი ამომრჩეველს შეჰპირდა, რომ ვითარებას გამოასწორებდა, სამუშაო ადგილებს შექმნიდა და ამერიკას ძველ დიდებას დაუბრუნებდა. გარკვეული ნაბიჯები ტრამპმა უკვე გადადგა ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების გამოსასწორებლად, სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის დეპარტამენტის შექმნის შემდეგ რამდენიმე ასეული მილიარდი დოლარის ეკონომიის გაკეთება მოახერხა ქვეყანამ, რისთვისაც პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ილონ მასკს ემადლიერება.

დონალდ ტრამპი თეთრ სახლში შესვლის შემდეგ არაერთხელ დაემუქრა პარტნიორ ქვეყნებს, თუ არ შეცვლიდნენ ეკონომიკურ პოლიტიკას, იმპორტზე დამატებით საგადასახადო ტარიფებს დააწესებდა. ერთი თვის წინ მან დააანონსა, რომ გაზრდილ ტარიფებს აპრილის თვის დასაწყისში გაასაჯაროებდა. ნახევრად ხუმრობით ისიც თქვა, „პირველ აპრილს არ გამოვაცხადებ, რათა ხუმრობაში არ ჩამითვალონო“. პირობა გასულ კვირას შეასრულა, თეთრი სახლის მდელოზე საზეიმო ვითარებაში გამოაცხადა, რამდენი პროცენტით გაზრდილი ტარიფები ტრილიონობით დოლარის შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, რასაც სახელმწიფო ვალის გასასტუმრებლად გამოიყენებენ.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, 185 ქვეყანას შორის არ არის ბელარუსი და რუსეთი. რატომ არ გაეზარდათ მათ ტარიფები, ამ შეკითხვაზე აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა, სკოტ ბესენტმა უპასუხა, რომ ორივე ქვეყანა სანქცირებულია და მათთან არ ვაჭრობენ.

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჯეფრი საქსმა. მისი თქმით, ტრამპის რუსეთის მიმართ რბილი დამოკიდებულების მიზეზი იქ არსებული ბუნებრივ რესურსებს უკავშირდება. „ტრამპის „საყვარელი მოქმედებაა“, იოლად იშოვოს ფული. იგი იმედოვნებს, რუსეთისგან ბევრი ბუნებრივი რესურსი მიიღოს და ამისკენ მიისწრაფვის. გამორიცხული არ არის, ტრამპმა რუსეთს სანქციები მოუხსნას. აშშ და რუსეთი მეგობრები არასოდეს იქნებიან, მაგრამ მათ შორის პარტნიორობა შესაძლებელია. აშშ-სთან მეგობრობა ხომ სახიფათოა“, — განაცხადა საქსმა.

აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციისთვის სახელმწიფო ვალი ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა. შიდა ვალმა უკვე 36 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ტაკერ კარლსონთან ინტერვიუში სკოტ ბესენტმა ამის თაობაზე შეშფოთება ვერ დამალა. თუმცა, დეფოლტის შესაძლებლობას გამორიცხავს.

მიუხედავად იმისა, რომ ტარიფების დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ მსოფლიოს საფონდო ბირჟებზე, მათ შორის, აშშ-შიც, დიდი პანიკა ატყდა, რამაც რყევები გამოიწვია. ახლა ვითარება შედარებით დასტაბილურდა. აშშ-ის წამყვანი ეკონომისტების გამოთვლებით, ქვეყანამ უკვე მიიღო 5 ტრილიონი დოლარის ოდენობის ზარალი.

გაზრდილმა ტარიფებმა შეაშფოთა აშშ-ის ბიზნესპარტნიორი ქვეყნები. დადგენილება 10 აპრილიდან შედის ძალაში, თუმცა, ქვეყნებს ვადა 15 აპრილამდე აქვთ, რათა გადახედონ თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკას. ჩინეთმა უკვე უპასუხა სარკისებურად აშშ-ს და გადასახადები ყველა პროდუქციაზე გაუზარდა. ჩინელების განცხადებით, ვაშინგტონის მოქმედება არ შეესაბამება ვაჭრობის საერთაშორისო წესებს, არღვევს ჩინეთის ეკონომიკურ უფლებებსა და ინტერესებს. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ი-მ განაცხადა, რომ აშშ-ის მიერ გაზრდილი ტარიფები ჩინურ საქონელზე უსაფუძვლოა და ეს მსოფლიოს გლობალურ ბაზარს აზარალებს. ჩინეთი გეგმავს, რომ აშშ-ის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

ტარიფების გაზრდამ განსაკუთრებით დიდი აჟიოტაჟი და აურზაური გამოიწვია ევროკავშირში და, საერთოდ, „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე.

გამოცემა „ფაინეიშლ თაიმსის“ ინფორმაციით, ევროკავშირმა გადაწყვიტა, მიიღოს ზომები აზიის ქვეყნებიდან შესული ჭარბი საქონლის გასანეიტრალებლად. აშშ-ის მიერ დაწესებული გაზრდილი სატარიფო განაკვეთების შედეგად, ევროკავშირის ქვეყნებს აზიიდან მოაწყდება იქაური იაფი პროდუქცია. ევროპელი ექსპერტების შეფასებით, ევროპაში შეიქმნა საგანგებო ვითარება და სავაჭრო შოკი, რომელმაც აზიაში დაისადგურა, ევროპაში გადაინაცვლებს.

გერმანიის წამყვანი ბანკის „დოიჩე ბანკის“ მთავარი ეკონომისტის რობინ ვინკლერის განცხადებით, „ჩინელი მწარმოებლები შეეცდებიან, თავიანთი იაფი პროდუქცია დიდი რაოდენობით და ნებისმიერი საშუალებით ევროპასა და სხვა რეგიონებში გაასაღონ, რადგან ისინი აშშ-ის ბაზრის მყარ კედელს წააწყდნენ“.

საგადასახადო ტარიფების გაზრდით ყველაზე მეტად ევროპელები არიან შეშფოთებული. იქაური წარმოებები, ძირითადად, აშშ-ის ბაზარზე იყვნენ დამოკიდებული. მხოლოდ გერმანიის ავტომწარმოებლები თავიანთი პროდუქციის 25%-ს აშშ-ში ასაღებდნენ. თუმცა, მათ დრო ჯერ კიდევ აქვთ და როგორ შეიცვლება ვითარება, უახლოეს დროში გამოჩნდება.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ცდილობს, ცხოვრება გაუადვილოს აშშ-ის მოსახლეობას, ვითომ ლიბერალები ტრამპის პოლიტიკის დისკრედიტაციას ცდილობენ.

გასულ კვირას აშშ-ის დიდ ქალაქებში საპროტესტო აქციები გაიმართა მიგრანტების პრობლემების, ტარიფების გაზრდიასა და ლგბტ თემის შეკავების წინააღმდეგ. ექსპერტები სპონტანურ გამოსვლებს გამორიცხავენ. რადგან თვალშისაცემია აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის, ბარაკ ობამასა და შარშანდელი პრეზიდენტობის კანდიდატის, კამალა ჰარისის აქტიური მონაწილეობა აქციებში.

ტელეინტერვიუში ბარაკ ობამამ განაცხადა: „ახლა მოქმედების დროა და არა მხოლოდ სიტყვიერი მხარდაჭერის. თუ საჭირო გახდება, თქვენ, მოსახლეობამ მსხვერპლიც უნდა გაიღოთ“.

ეკონომიკურის გარდა, ევროპაში პოლიტიკურმა კრიზისმაც დაისადგურა, — სამწუხაროდ, ასე აფასებენ მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგები კონტინენტზე არსებულ სიტუაციას.

საფრანგეთში გასულ კვირას ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერს, პრეზიდენტობის მთავარ კანდიდატს, მარინ ლე პენს აუკრძალეს არჩევნებში მონაწილეობა და პატიმრობა შეუფარდეს. საფრანგეთის სასამართლოს განაჩენით გაოცებული დარჩა დონალდ ტრამპი, რომელმაც განაცხადა, რომ არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას. ტრამპმა ლე პენის ე. წ. დანაშაულს „ბუღალტრული შეცდომა“ უწოდა და მის მიმართ გამოტანილი ვერდიქტი „კუდიანებზე ნადირობად“ შეაფასა. უფრო მეტიც, მან მარინ ლე პენი პოლიტიკური აქტიურობის გამო შეაქო კიდეც. „...მარინ ლე პენმა რამდენჯერმე განიცადა მარცხი, მაგრამ წინსვლას და ბრძოლას განაგრძობდა. ახლა, როდესაც დიდი გამარჯვება უნდა დამდგარიყო, იგი დააპატიმრეს უმნიშვნელო დარღვევისთვის. ყოველივე ეს ცუდია საფრანგეთისთვის“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ჯერ კიდევ უცნობია, რომელ ფაზაში გადაიზრდება ვირტუალური დაპირისპირება აშშ-სა და ევროპას შორის, მაგრამ ფაქტია, ერთ დროს მეგობრები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ახლო აღმოსავლეთში ვითარების განმუხტვაზე ნაკლებად ფიქრობენ და ცეცხლზე ნავთსაც ასხამენ.

ასეთია დღევანდელი გლობალური პოლიტიკა და როგორ გაგრძელდება, ამის პროგნოზირება სულ უფრო რთულდება.

გია ბურდული

ჩილოდან – აფრიკის სავანებსა და ვიეტნამის ჯუნგლებში

(დასასრული. დასაწყისი „სგ“ N8)

ძილი სიცივემ გამიფრთხო. ღამის სამი საათი იყო. ყველამ გაიღვიძა. დაიწყო ალიონი, უკვე კარგად ჩანდა გზა და გავუყევით. უცბად ჟუაო შეჩერდა, გამხმარ ფოთლებს დააკვირდა და შვიდ ღორს გაუვლიაო, თქვა. მე თავის ძმასთან დამტოვა, თვითონ კი ძაღლებით ორ მონადირესთან ერთად წავიდა შემოსარეკში. მე საუკეთესო შაშხანა მაქვს, ჩემს „კოლეგას“ — მშვილდ-ისარი. გავიდა ნახევარი საათი და ძაღლების ყეფა შემოგვესმა.

გამოჩნდა დიდი ტახი, გვერდზე ორი ძაღლი მოსდევდა. ტახი ძაღლებისკენ მიტრიალდა, შეუტია და წამით შეჩერდა. იჭექა თოფმა, ტახი წაიქცა, მაგრამ წამოდგა. მეორე ვესროლე და აღარ ამდგარა. აირივნენ ძაღლები ტახებში. ვეღარ ვისვრი, მეშინია, ძაღლს არ მოვარტყა. ჩვენგან 40 მეტრში ძაღლს დედალ ტახზე აქვს კბილი კანჭში ჩავლებული. უცბად მოუტრიალდა ტახი, მუცელი გაუფატრა ეშვით და წამიერად გადმოაყრევინა ნაწლავები. წამით დამაგვიანდა, თორემ კი ვესროლე. ტახი აღარ განძრეულა, კისერში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი.

ჟუაომ ძაღლს ნაწლავები მუცელში ჩაულაგა, ლიანის წკნელით შეუკრა მუცელი და ხელით წაიყვანა მანქანისკენ. ორი ტახი საკაცით გადაიტანეს მანქანაში, მესამესთან მე დამტოვეს, უდარაჯე, არ დაგეძინოს, ფრთხილად იყავიო. ვდგავარ მკვდარ ღორთან. იქვე ხე იყო გადაქცეული. იქაურობა დავათვალიერე და ჩამოვჯექი, თოფი ხელში მიჭირავს. ერთმა სვავმა შემოიფრინა ჩვენს თავზე და იქვე ხის წვერზე ჩამოჯდა. მერე მეორეც მოფრინდა, მაგრამ პირველს ვესროლე და ორივე გადაიკარგა. ავდექი, დავჯექი, — მეძინება. ჩამოვჯექი ისევ ხეზე და ჩამძინებია. ჟუაო რომ მოვიდა და მძინარე მნახა, ძალიან გაბრაზდა. იმ დროს, როდესაც შენს გვერდზე მკვდარი ცხოველია, ნებისმიერი მტაცებელი მოვა მის სუნზე და შეგჭამს შენცო.

გარდა ამისა, აფრიკაში ძალიან საშიშია ჭიანჭველების ჯარი, გუნდი, რამდენიმე ათასი, დიდები, სიგრძით სანტიმეტრამდე, შავები. ერთხელ ჭიანჭველების ჯარს გადავუგდეთ ახლადმოკლული ანტილოპას თავი და ნახევარ საათში შეჭამეს, მხოლოდ პირწმინდად გასუფთავებული ძვლებიღა დატოვეს.

მესამე ღორიც დააკრეს საკაცეზე და წავედით შინისკენ, მაგრამ უწყლობისგან პირი გამიშრა, ცუდად ვარ, ენა მებერება. ენის გაბერვა პირველი ნიშანია იმის, რომ ორგანიზმმა ბევრი წყალი დაკარგა და სასწრაფოდ ითხოვს შევსებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ენა პირში ვეღარ თავსდება და ადამიანი იღუპება. ტყისმჭრელ ბრიგადას შევუარეთ და გული ვიჯერე წყლის სმით, ენაც დაპატარავდა.

პარტიიდან ჩემ საძებნელად წამოსულიყვნენ დიდი მანქანით. მომიტანეს მათარით ჩაი და მოხარშული ბრინჯი. ჟუაო და მისი მეგობრები სახლში მივიყვანეთ. ჟუაოს ძალიან ლამაზი ცოლი და ბევრი ბავშვი ჰყავდა. დაინთო ეზოში ცეცხლი, სასწრაფოდ შეიწვა უგემრიელესი, მანგოს წვენდაწურული მწვადი. ორი ტახი ჟუაოს დავუტოვეთ, ერთი ჩვენ წამოვიღეთ. მწვადის შეწვის პროცესში მაჯიდან იაპონური საათი შევიხსენი და ჟუაოს ვაჩუქე. ასეთ რამეს არ მოელოდა და თავის მხრივ, „ორიენტის“ სანაცვლოდ, თორებზე სანადირო ბასრი იარაღი, შუბი მაჩუქა. თბილისში რომ ჩამოვიტანე, ჩემს ბიძაშვილს, ჯარჯის, ძალიან მოეწონა და მას ვაჩუქე. ამჟამად მის სამუშაო ოთახში უკავია საპატიო ადგილი.

გარეულ ტახს გრძელი და ძალიან ბასრი ეშვები აქვს. ლომებიც კი ერიდებიან მათთან შებრძოლებას, რადგან დინგის ერთი მოქნევით შეუძლიათ ლომისთვის მუცლის გამოფატვრა.



ერთ ღამეს მივდივართ საშინელ სიბნელეში და კვნესა შემოგვესმა. მანქანა გავაჩერეთ, ფარები ჩავრთეთ და ვხედავთ, მგუდავი გველი ლიანაზეა ჩამოკიდებული და ანტილოპას ეხვევა. ჩვენს შორის 10-12 მეტრი მანძილია. ამ სურათის დანახვაზე ჩემმა გამყოლმა დაიღრიალა და მანქანისკენ გაიქცა. ავტომატურად გავისროლე ტყვია წყვდიადში და მეც მანქანისკენ გავიქეცი. ცოტა ხანში ისევ მივედით. ანტილობა მიწაზე ეგდო, ხერხემალი გადატეხილი ჰქონდა, ნეკნები ჩამტვრეული, გველი აღარ ჩანდა, ჩავუმწარეთ სადილი.

მგუდავი, როდესაც დარწმუნდება, რომ მისი მსხვერპლი მკვდარია, იწყებს მის გადაყლაპვას. ეს პროცესი დიდხანს გრძელდება, ზოგჯერ დღეებიც კი, გააჩნია, რა ზომისაა ნადავლი. ყლაპვისას გველს ყელი და მუცელი რეზინივით ეწელება. მონელების პროცესი რამდენიმე დღე გრძელდება. ამ დროს ის ნახევრადმძინარ მდგომარეობაშია და ამ დროს არის იოლი მისი ისე მოკვლა, რომ ტყავი არ დაზიანდეს.

მარშრუტზე გველები იშვიათად გვხვდებოდნენ, მაგრამ ერთ-ერთ საბადოზე მუშაობისას ხშირად ვხედავდით ერთსა და იმავე ადგილას დაწყვილებულ მგუდავებს. ჩვენს მიახლოებას გრძნობდნენ და იმალებოდნენ ხშირ სავანებში. მოზამბიკელ მუშებს უნდოდათ მათი დახოცვა, ძალიან გემრიელი ხორცი აქვთო, მაგრამ კატეგორიულად ავუკრძალე.

მგუდავის სიგრძე ათ მეტრს აღწევს, მაგრამ ამაზონის აუზში არიან ბევრად დიდებიც. თბილისში ჩამოვიტანე გამოყვანილი, ექვსმეტრიანი მგუდავის ტყავები. ადგილობროვი მოსახლეობა ყველა გველს კობრას უწოდებს.

ნამდვილ კობრასთან ერთადერთხელ მქონდა პირისპირ შეხვედრა. დილით, სანამ მზე ამოვიდოდა, სეზალის პლანტაციებს შორის სწრაფი ნაბიჯით მივდივარ. უცბად უცნაური არასასიამოვნო ხმა შემომესმა, თითქოს ასანთის კოლოფი შეარხია ვიღაცამ. მოულოდნელად, ჩემ წინ, ორ მეტრში, მიწიდან ვერტიკალურად ამოიწია ნახევარ მეტრამდე შავმა, დიდლაყუჩებიანმა კობრამ, — ჰაერში ასავსავებდა ენას და თვალებში მიყურებდა, თავდასხმისთვის ემზადებოდა. დაისტვინა და, ისე შემეშინდა, არ მახსოვს, როგორ გადავხტი უკან და გავიქეცი.

ეს ამბავი ჟუაოს მოვუყევი და შევთავაზე, თოფებით წავსულიყავით იმ ადგილზე და თუ ისევ შეგვხვდებოდა კობრა, მოგვეკლა. ჟუაომ სასტიკი უარი მითხრა, ჩვენ მათ არ ვხოცავთ, რადგან სამაგიეროს გადახდის გვეშინიაო. გველებს მათთვის ავისმოქმედის პოვნა შეუძლიათ, გიპოვის მძინარეს, გიკბენს და მოგკლავს, დილას კი ნახავენ ჯანმრთელ კაცს მკვდარსო...

ჩემი ცხოვრების გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ ცხოველი იმ შემთხვევაში ესხმის ადამიანს, თუ ცოფიანი, დაჭრილი ან მშიერია, სხვა შემთხვევაში ერიდება, გაეცლება, ან ყურადღებას არ მიაქცევს. ცხოველს არ უნდა დაურღვიო სიმყუდროვე, დასვენება და თავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი საკუთარ თავს დააბრალე. როდესაც გამძღარი ლომი თავისი ცოლ-შვილით ხის ჩრდილში ისვენებს, რა თქმა უნდა, არ გაპატიებს მისთვის სიმყუდროვის დარღვევას.

ველზე მუშაობისას კარვებში ვცხოვრობდით. კარვები ისე იყო შეკერილი, რომ კოღოც ვერ შემოძვრებოდა. დღისით კარვის კალთებს ავწევდით, ვანიავებდით და კოღოების საწინააღმდეგო ბადე გვქონდა ჩამოფარებული. დაწოლის წინ ყურადღებით ვათვალიერებდით კარავს, არასასიამოვნო სტუმარი რომ არ ყოფილიყო მოკალათებული და ვკეტავდით კარავს. არაერთი უბედური შემთხვევა იყო — ჩვენს თანამშრომელს, ბურღვის სპეციალისტს, ღამით უკბინა კარავში გველმა. ხმაური რომ ატყდა, ყველა მივედით, მკლავს უკვე გალურჯება ჰქონდა დაწყებული. სასწრაფოდ მივიყვანეთ უახლოეს სამედიცინო პუნქტში. კაცი კი გადავარჩინეთ, მაგრამ მკლავი დაკარგა...

ანტილოპას რქების კოლექციას ვაგროვებდი, რამდენიმე წყვილი უკვე მქონდა, მაგრამ ულამაზესი ანტილოპის, ნამეგომას ვერტიკალურად დახვეული რქების ინტერესი მქონდა. ისინი მდინარე რუიოს აუზში მინადრობენო, მითხრა ჟუაომ. ჩვენი ბაზიდან შორს იყო. დავთქვით დღე და ანტილოპებზე მონადირე ცნობილ მონადირესთან წამიყვანეს, თან გააფრთხილეს, მარტო არსად გაუშვაო და ჩააბარეს ჩემი თავი.

მონადირე პატარა, მოწნულ ქოხში ცხოვრობდა. კართან ცეცხლი ენთო და მის გვერდზე წამოწვა მასპინძელი, მეც იქვე მივჯექი ჩემი შაშხანით. გათენებამდე დიდი დროა, მეძინება, მაგრამ მასპინძელი ხვრინავს, მაგრამ რა დამაძინებს. გამთენიისას ადგა, აიღო სანადირო იარაღი (მშვილდი, ისარი, შუბი) და მანიშნა, წავედითო. საკმაო მანძილი გავიარეთ. ყველაფერი კარგად ჩანდა, მაგრამ ძალიან ფრთხილად მივიწევდით წინ. მონადირე გაჩერდებოდა, იყურებოდა აქეთ-იქით, სმენას ძაბავდა და ასე ვაგრძელებდით გზას. რაღაც მომენტში გაჩერდა, დაიხედა, ნაკვალევს დააკვირდა და ხელი მომკიდა, შეხედეო. მეც დავაკვირდი და ნესტიან მიწაზე გარკვევით დავინახე დიდი ცხოველის სრულიად ახალი კვალი. ავხედე მონადირეს და შიშისგან კანკალებს, „ლეაო სენიორ, მუიტუ პერგოზუ“, — ლომის კვალია ბატონო, აქ ყოფნა ძალიან საშიშიაო და ხელს იშვერს 30-40 მეტრში, სავანის ხშირი ბარდებისკენ, იქ არისო. მომკიდა ხელი და უკან გამაბრუნა. ასე დამთავრდა ანტილოპებზე ჩვენი ნადირობა.

7 ნოემბერს ჩვენმა კონტრაქტორმა დაგვპატიჟა მოზამბიკის გეოლოგიურ სამმართველოში მომუშავე ყველა გეოლოგი. ეს ამბავი მრჩეველს მოვახსენე და შემაქო, კარგ საქმეს ასრულებთო. კარგ საქმეს კი ვაკეთებთ, მაგრამ სტუმრებს რომ ვეპატიჟებით, სასმელი არ გვაქვს, ვერ ვშოულობთ-მეთქი. მერე, მე რა ვქნაო? დამეხმარეთ თქვენი ფონდიდან, მასესხეთ 5 ბოთლი არაყი და საელჩოს მაღაზია რომ მიიღებს ჩაგასესხებთ-მეთქი. რაღაც ჩაიდუდღუნა და ზელის კანკალით მომცა მაცივრიდან გამოღებული ხუთი ბოთლი არაყი.

შესანიშნავი დრო გავატარეთ 7 ნოემბრისადმი მიძღვნილ ზეიმზე. გეოლოგები ცხრა ქვეყნიდან ვიყავით. თავდაპირველად ენის ბარიერი გვქონდა, მაგრამ გაჭრა რუსულმა არაყმა და მშვენივრად ვუგებდით ერთმანეთს. სალასკინმა ბაიანზეც დაამღერა და ცეკვა-სიმღერით დავემშვიდობეთ ერთმანეთს ღამის სამ საათზე.

ელჩი, რომელიც მოზამბიკში ჩასვლის დროს დაგვხვდა, ძალიან მშიშარა იყო. საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს არ ჰქონდათ უფლება, რომ საღამოს რვა საათის შემდეგ ქუჩაში გასულიყვნენ, ან კონტაქტი ჰქონოდათ უცხოელებთან. მეორე ელჩის მოსვლამ ყველაფერი შეცვალა, ახალი ელჩი მოითხოვდა, რაც შეიძლება მეტი კონტაქტი გვქონოდა უცხოელებთანაც და ადგილობრივ მოსახლეობასთანაც, უნდა გაიგონ, როგორი ქვეყანა გვაქვს, როგორი ხალხი ცხოვრობს ჩვენთანო. ზოგიერთებს კაციჭამიები და გაუნათლებლები ვგონივართ, ამიტომ გავეცნოთ, დავანახოთ, როგორები ვართო.

სასტუმროებიდან ბინებში რომ გადავედით, ძალიან გაგვიჭირდა, რადგან, ფაქტობრივად, პროდუქტები არ იყიდებოდა, პური თითქმის არ ცხვებოდა. თავდაპირველად რძის ნაწარმის მაღაზიები გააკეთეს, კარაქი ჰქონდათ განსაკუთრებით გემრიელი. შემდეგ ბოსტნეულის მაღაზიებიც გახსნეს, მაგრამ თურმე, რამე რომ გვეყიდა, იმ მაღაზიის წევრი უნდა ყოფილიყავი. მე რა ვიცოდი. მივედი, 2 კგ კარტოფილი მინდა და გამყიდველი არ მაძლევს, რაღაც საბუთს მთხოვს. ძლივს მესმის პორტუგალიური, როგორ უნდა გავიგო, რა უნდა. ის მაინც გავაგებინე, უფროსი ვინ არის, სად ვნახო-მეთქი. შორიახლოს ორი თეთრკანიანი ქალბატონი იდგა, მათზე მიმანიშნა. მივედი მათთან და ჩემი დამტვრეული პორტუგალიურით დავიწყე გამორკვევა, რომელი იყო მაღაზიის პატრონი. მიხვდნენ, რომ უცხოელი ვიყავი და ჩამომითვლეს ევროპის ქვეყნები, საიდან ხართო? ქართველი ვარ-მეთქი. თავი გაიქნიეს, არ გაგვიგიაო. კავკასია ვუხსენე და, არც კავკასია ვიცითო. უცბად სტალინი გამახსენდა, თუ გაგიგიათ-მეთქი? შეიცხადეს, რას ჰქვია, არ ვიცით, მსოფლიომ იცისო. ჰოდა, მე და სტალინი ერთ მიწაზე დავიბადეთ-მეთქი.

— კე ვოსე კერე, სენიორ? — მკითხა ერთმა, რომელიც უფრო ლამაზი იყო. რა მნებავს და 2 კგ კარტოფილი, მაგრამ რაღაც საბუთს მთხოვს გამყიდველი და არ მაძლევს-მეთქი. ქალმა ხელკავი გამომდო და წამომყვა, აუწონე კარტოფილიო. ასე დამეხმარა სტალინის სახელი მიკარგულ მოზამბიკში.

უკვე 1980 წელი იყო და კონტრაქტი მიმთავრდებოდა. კიდევ ერთი წლით შემომთავაზეს მისი გაგრძელება, მაგრამ უარი ვთქვი და სამშობლოში დავბრუნდი.

ვიეტნამის ჯუნგლების ამბავს სხვა დროს მოგიყვებით.

მაია ჭელიძე

იუსტიციის ახალი მინისტრის გამოწვევები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს - პაატა სალია. იგი პროფესიით იურისტი, ადვოკატია. ახალ მინისტრს იურიდიული განათლება აშშ-ში აქვს მიღებული. კომპეტენტურია საერთაშორისო სამართალშიც. პაატა სალიას წარმატებული კარიერა ჰქონდა იურისპრუდენციაში, იყო არაერთი იურიდიული ფირმის პარტნიორი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი და ბოლოს, საქართველოს პარლამენტის წევრი.

როდესაც პაატა სალიას იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გავრცელდა, არ გამკვირვებია ავის მოსურნეთა თავშეკავებული კომენტარები, გასაგები იყო, რომ ისინი საკადრო პოლიტიკაში მორიგ მარცხს შეურიგდნენ.

იუსტიციის სამინისტროს პრაქტიკოსი იურისტი უნდა მართავდეს, რადგან ისე კარგად არავის ესმის საზოგადოებისა, როგორც ადვოკატს, რომელსაც პროფესიულად თითქმის ყოველდღიურად უწევს მოქალაქეების პრობლემებთან შეხება.

განსაკუთრებული გამოწვევა იუსტიციის მინისტრის წინაშე მაინც დასავლეთის მიერ ქართველი მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესების საკითხია. .ბუნებრივია, ახალ მინისტრს მათთვის გასაგებ ენაზე დასავლეთისათვის მოუწევს იმის შეხსენება, რომ მტკიცებულებების გარეშე პირის დასანქცირება დაუშვებელია და ამგვარი მიდგომები საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგება. დასავლეთში განათლებამიღებულ კაცს საქართველოს, როგორც ქვეყნის, აკადემიურად წარმოჩენა საერთაშორისო ინსტიტუტებთან არ გაუჭირდება.

გარდა მოსამართლეთა |„რეაბილიტაციისა“, ახალ მინისტრს საზოგადოებისათვის საჭირბოროტო ბევრი ისეთი საკითხის გათვალისწინება და გადაწყვეტაც მოუწევს, ახლო წარსულში მის პროფესიულ საადვოკატო საქმიანობას რომ ახლდა თან. ამჯერად პრობლემის ორ ძირითად ასპექტს შევეხოთ.

სასამართლოთა გადატვირთულობა

ვისაც სასამართლოსთან, განსაკუთრებით სამოქალაქო ადმინისტრაციულ საქმეებთან შეხება ჰქონია, დამეთანხმება, რომ სასამართლოს გადატვირთულობის მხრივ საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს. საქმეთა სიმრავლის გამო მოქალაქეს, ფაქტობრივად, წლობით უწევს ლოდინი პროცესის ჩანიშვნამდე, როცა სამართლის დადგენა და მერე მისი აღსრულება დაუსრულებლად ჭიანურდება. ბუნებრივია, ეს ფაქტი საზოგადოების სამართლიან ვნებათაღელვას იწვევს.

პროფესიით ადვოკატმა პაატა სალიამ კარგად იცის ამ გამოწვევის შინაარსი და დარწმუნებული ვარ, უკვე ნაფიქრიც აქვს, როგორ მოძებნოს გამოსავალი.

სასამართლოთა გადატვირთულობას ხშირად ხელს უწყობს იუსტიციის სამინისტროში შემავალი ორგანოს - საჯარო რეესტრის მავნე პოლიტიკა, როდესაც მარეგისტრირებელი ორგანოს ზოგიერთი მესვეური ისე, რომ არ განიხილავს დეტალურად საკითხებს, საქმეთა უმრავლესობას სასამართლოში განსახილველად აგზავნის, რაც,

ბუნებრივია, მოქალაქეთა პროტესტს იწვევს. არადა, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს უფლება, ისე დაასრულოს საქმე, რომ აღარ გახდეს საჭირო სასამართლოში გასაჩივრება. როგორც ამბობენ, საჯარო რეესტრის მესვეურთაგან კანონით არ მოითხოვება იურიდიული ცოდნა, მაშინ, როდესაც ყველა დოკუმენტი კანონის ძალის მატარებელია. შესაძლოა, სწორედ ეს გარემოებაც იყოს საჯარო რეეტრის პრობლემისა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლოთა გადატვირთულობის ინდიკატორიც, რასაც ახალმა მინისტრმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

პატიმართა სიმრავლე ციხეებში

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმართა სიმრავლის საკითხს პენიტენციურ დაწესებულებებში. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, სიტუაცია ამ მხრივ ფრიად საგანგაშოა. სამწუხაროდ, დაკავებულთა უმეტესობა ოჯახური ძალადობის ჩამდენები არიან. გამოსავალი ამ მხრივ ნამდვილად არსებობს, რაც ახალი მინისტრისთვის უცხო არ არის. კერძოდ ის, რომ იუსტიციის სამინისტროს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს უფლება ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილების დაინიცირებისა და საკანონმდებლო ორგანოსათვის იმის ახსნა, რომ ნებისმიერი კანონის მიღებამდე მეტი სიცხადეა საჭირო.

ხშირად, მოსამართლეთა წრეში გაუგებრობებს იწვევს ნორმათა ბუნდოვანება. მაგალითად, კონკრეტულად ოჯახურ ძალადობაზე რომ ვიმსჯელოთ, ამ კანონში არის ასეთი აბსურდული ჩანაწერი, რომ ქალ მსხვერპლს უფლება აქვს, საცხოვრებლად დარჩეს იმ პირის სახლში, ვისგანაც ფსიქოლოგიურად და ემოციურად დაზიანდა. გაუგებარია ამ კანონის დათქმა.

დავუშვათ, რომ სასამართლომ „მოძალადე“ მამაკაცი გაამართლა და თქვა, რომ ძალადობას არ ჰქონდა ადგილი; ან, მაგალითად, ასეთ პირს გამოძიებამ არც გირაო შეუფარდა და არც საპატიმროში გაუშვა. მაშინ, სად მიდის ბინის მესაკუთრე, ქუჩაში რჩება, თუ ასეთ პირობებში ხელახალი დანაშაულის ჩადენისკენ ვუბიძგებთ?

სიმართლე რომ გითხრათ ამ კანონის გამოყენებით მავანნი უკვე სარგებლობენ და პრობლემაც გადაუწყვეტელი რჩება... რა თქმა უნდა, ამ პრობლემის ასე წარმოჩენით ჩვენ ქალთა მიმართ ძალადობას არ ვამართლებთ, მაგრამ ხსენებულ კანონს რომ მეტი სიცხადე სჭირდება, აშკარაა.

სპორტსმენი ბასილაშვილის საქმის გახსენებაც საკმარისია, როდესაც გენდერული ნიშნით ძალადობაში უდანაშაულოდ სცნეს და რომ მოძალადე პირიქით, შესაძლოა, ქალიც იყოს.

ამასთან, აღნიშვნის ღირსია ერთი დეტალიც. არ მიმაჩნია სწორად ფინანსურ დანაშაულთა გამო ადამიანების ციხეში ხანგრძლივი დროით გამოკეტვა, იმ პირობებში, როდესაც სხვა სამართლებრივი სანქცია, მაგალითად, ჯარიმა, იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ, სასჯელის მიზნებისათვის უფრო ეფექტიანია, ვიდრე დამნაშავის შენახვა. ვფიქრობ ასეთი ტიპის დანაშაულებისთვის სანქციის პოლიტიკა გადასახედია. ამ გზით საპატიმროებიც განიტვირთება და სახელმწიფო ბიუჯეტიც დაიზოგება.

და ბოლოს, ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით საზოგადოებისათვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებს, რომელთაც, სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი წერილით ვერ ამოვწურავთ, იუსტიციის ახალ მინისტრის, ბატონ პაატა სალიას კი ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წარმატებებს ვუსურვებთ.

ლევან ჭიღლაძე

იურიდიული რჩევები

თქვენს შეკითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

- სასამართლომ განაჩენით ამიკრძალა მანქანის მართვა. მე მძღოლი ვარ და სხვა პროფესია არ მაქვს. როგორ მოვიქცე?

- ასეთ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ იმავე სასამართლოს, რომელმაც განაჩენი გამოგიტანათ და მოსთხოვოთ დამატებით სასჯელის გაუქმება, თუ წარუდგენთ მტკიცებულებებს, რომ სხვა სპეციალობა არ გაქვთ და ოჯახს ვერ ინახავთ.

- რამ შეიძლება შეუშალოს ხელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებას?

- დარღვევები, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე, შესაძლოა უკავშირდებოდეს სხვადასხვა სამშენებლო გადაცდომას, რომელთა შორის ყველაზე გამოუსწორებელი შეიძლება იყოს ფართის მატება (ფართის იმგვარი ზრდა, რომელსაც მოჰყვება ტერიტორიისთვის განსაზღვრული სამშენებლო კოეფიციენტების გადაჭარბება), შენობის კონტურის ადგილმონაცვლეობა (მაგ., სამშენებლოდან არასამშენებლო ზონაში, ან მიწის ნაკვეთიდან მცირედი გადაცდომა), სახანძრო უსაფრთხოების პროექტით გათვალისწინებული პირობების იმგვარი დაუცველობა, რომ საჭიროებდეს უკვე აშენებული შენობა-ნაგებობის სრულ ან/და ნაწილობრივ რეკონსტრუქციას და ა. შ.

- აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აუქციონზე გასატანი ქონება საბაზრო ღირებულებასთან შედარებით ძალიან მცირე, შეუსაბამო ფასად შეაფასა. ქონება აუქციონზე თუ ამ ფასად გაიყიდება, სარგებელს ვერ მივიღებ. როგორ მოვიქცე?

- ასეთ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ დამოუკიდებელი შეფასება აუდიტორული ფირმისგან და მოსთხოვოთ აღსრულებას, რომ აუქციონზე ქონების გატანა თქვენს მიერ დადგენილი ფასის მიხედვით მოხდეს. თუ აღმასრულებელი არ გაითვალისწინებს თქვენს წინადადებას, გადაწყვეტილება მისი უარის შესახებ შეგიძლიათ გაასაჩივროთ სასამართლოში.

- ვიყავი ამხანაგობა იბა-ს თავმჯდომარე. გავედი ამხანაგობიდან, რადგან პირადი ქონება გავყიდე, მაგრამ ამხანაგობას დარჩა რაღაც ვალდებულებები შესასრულებელი. ამხანაგობა მთხოვს, უკან დავბრუნდე. როგორ მოვიქცე?

- ვინაიდან თქვენ პირადი ქონება გაასხვისეთ, ამხანაგობის წევრად აღარ ითვლებით. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ამხანაგობამ თავმჯდომარედ დაგნიშნოთ მხოლოდ მიწვევის წესით, რის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი.

- დამსაქმებელმა შემიწყვიტა ხელშეკრულება. ამავე დროს, არ მიხდის დარჩენილ ხელფასს. აქვს თუ არა მას ამის უფლება?

- არა, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლა, ზოგადად, არ ნიშნავს ვალდებულების შეწყვეტას. დამსაქმებელი ვალდებულია, ასეთ შემთხვევაში სრულად აანაზღაუროს დარჩენილი ხელფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და დააკისროთ თანხის გადახდა.

- გამოძიებამ შემთხვევის ადგილიდან არ ამოიღო კამერები, მათზე ასახული კადრები უდავოდ ადასტურებს ჩემს უდანაშაულობას. როგორ მოვიქცე?

- ასეთ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ შუამდგომლობით, სასამართლომ გასცეს განჩინება დავალების მითითებით, რათა მოგეცეთ საშუალება იმ დროისათვის არსებული ვიდეოფირების დათვალიერებისა და იმ ობიექტის მიმართ, რომლისგანაც აპირებთ მტკიცებულებების ამოღებას.

- გამომძიებელს არ ვენდობი, რადგან შესაძლოა, მან ზეწოლა მოახდინოს ჩემზე და მისთვის სასურველი ჩვენება მიიღოს. მინდა დავიკითხო მოსამართლის წინაშე. როგორ მოვიქცე?

- ასეთ შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება, გამომძიებელს პირდაპირ უთხრათ უარი ჩვენების მიცემაზე და მოითხოვოთ, რომ დაიკითხოთ სასამართლოში პროკურორთან ერთად, მოსამართლის კონტროლის ქვეშ.

ტელ: 555 75-04-45

გთხოვთ, შეკითხვები გამოაგზავნოთ გაზეთის ელექტრონულ ფოსტაზე: saertogazeti@yahoo.com

რა ელის დედამიწის ბირთვს?



„დედამიწის შიდა ბირთვი თავად პლანეტაზე ნელა მოძრაობს და შესაძლოა, 204 წლისთვის მთლიანად გაჩერდეს“, — მიაჩნიათ მეცნიერებს. როგორც მეცნიერები ამბობენ, ეს მოვლენა ადრე უკვე მომხდარა: ჩინელმა მეცნიერებმა რამდენიმე ხნის წინ დაუშვეს, რომ დედამიწის ბირთვის გაჩერება და მოძრაობის მიმართულების შეცვლა ყოველ 35 წელიწადში ერთხელ ხდება.

ამის შესახებ წერენ ჟურნალ „Nature“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში იუტას, სამხრეთ კალიფორნიის, აშშ-ის კორნელის უნივერსიტეტისა და ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები.

სტატიაში საუბარია იმაზე, რომ დედამიწის შიდა ბირთვის სიჩქარე მრავალი წლის განმავლობაში იცვლება მას შემდეგ, რაც განმეორებადი მიწისძვრების შედეგად სეისმური ტალღების დროში ცვლილებების შესახებ გახდა ცნობილი.

ამჟამად პლანეტის შიდა ბირთვი ნელა და დედამიწის ზედაპირის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს. მეცნიერები მოელიან, რომ 2040 წლისთვის ის მთლიანად გაჩერდება, მაგრამ მოგვიანებით განაახლებს მოძრაობას და იმ მიმართულებით განაგრძობს სვლას, რომელი მიმართულებითაც დედამიწა ბრუნავს.

დედამიწის შიდა ბირთვი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პლანეტის მაგნიტური ველის ფორმირებაში. ის მყარია, ძირითადად, რკინისა და ნიკელისგან შედგება და პლანეტის ზედაპირისგან თხევადი გარე ბირთვით არის გარშემორტყმული, რომელიც მას საშუალებას აძლევს, დედამიწის საწინააღმდეგო მიმართულებით იმოძრაოს.

დედამიწის ბირთვის მოძრაობისა და მისი გაჩერების შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს.

2023 წლის იანვარში ჟურნალ „Nature“-ში გამოქვეყნდა პეკინის უნივერსიტეტის მეცნიერთა სტატია, რომელშიც 1960 წლიდან მოყოლებული, განმეორებადი მიწისძვრებით გამოწვეული სეისმური ტალღების ტრაექტორიებია გაანალიზებული.

მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 2009-2020 წლების პერიოდში შიდა ბირთვმა მოძრაობა შეწყვიტა და შესაძლოა, მიმართულებაც შეიცვალა. სტატიაში მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ დაკვირვებების შედეგები დედამიწის მაგნიტური ველისა და დღის ხანგრძლივობის ცვლილებას ემთხვევა.

მეცნიერებმა, ასევე, წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, დედამიწის ბირთვი, შესაძლოა, ყოველ 35 წელიწადში ჩერდებოდეს და მოძრაობის მიმართულებას იცვლიდეს, მთელი ციკლი კი 70 წელს მოიცავს. მეცნიერებმა სეისმური მონაცემების ანალიზის შედეგად დაადგინეს, რომ დედამიწის ბირთვის შეჩერება და მოძრაობის მიმართულების შეცვლა ბოლოს 1970-იანი წლების დასაწყისში მოხდა.

სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები ერთხმად ამტკიცებენ, რომ აღნიშნული მოვლენა დედამიწის მცხოვრებლებზე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს.

ბელა გველესიანი



„დამსხვრეული სარკეები“

— პროფესორო, რა ხდება, თუ ადამიანს თავად ეს სარკისებური ნეირონები დაუზიანდა? რომელი დაავადებების დროს ხდება ეს?

— ამ ნეირონების დაზიანება ადვილად არ ხდება, ისინი თავის ტვინის ქერქის მთელ ზედაპირზეა განლაგებული. თუ ადამიანს ინსულტი ემართება, ამგვარი ნეირონების მხოლოდ ერთი ნაწილი ზიანდება. მაგალითად, ცნობილია, რომ თუ ადამიანის ტვინის მარცხენა მხარეა დაზიანებული, იგი სხვების მოქმედებებს ვერ აღიქვამს.

სარკისებური ნეირონების სერიოზული დაზიანებები გენეტიკურ დარღვევებთანაა დაკავშირებული. ყველაზე ხშირად ეს აუტიზმის დროს ხდება. რადგან ამ ადამიანების ტვინში დაზიანებულია გარშემომყოფთა მოქმედებისა და ემოციების „ამრეკლავი“ მექანიზმი, აუტისტები, უბრალოდ, ვერ იგებენ, რას აკეთებენ სხვა ადამიანები. მათ არ შეუძლიათ თანაგრძნობის, სიხარულის გამოხატვა, რადგან არ განიცდიან მსგავს ემოციებს. ეს ყველაფერი მათთვის უცხოა, აშინებთ და ამიტომ აუტიზმით დაავდებულები იკეტებიან საკუთარ თავში და ურთიერთობებს გაურბიან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუტისტი ბავშვების ბოლომდე გამოჯანმრთელება შესაძლებელია ძალიან პატარა ასაკში. ასეთ ბავშვებთან ძალიან ადრეულ ასაკში უნდა გამოვავლინოთ ძლიერი გრძნობები და სენტიმენტალობაც კი: დედა და სპეციალისტი ბევრს უნდა ელაპარაკონ მას, შეეხონ, რათა განუვითარონ როგორც მოტორული, ასევე ემოციური ჩვევები. ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთ ბავშვთან შეჯიბრის ტიპის თამაშები, რომლის დროსაც წარმატებას მხოლოდ ერთობლივი ქმედებით მიაღწევენ. მაგალითად, ბავშვი მარტო ვერ გადაწევს ბაგირს, ხოლო დედასთან ერთად გადმოძალავენ მას და პრიზსაც მიიღებენ. ამგვარად, ბავშვი ხვდება, რომ თუ ერთად ითამაშებენ, ეს საშიში კი არ არის, არამედ სასარგებლოა.

ჩვენი გაზეთის გამომცემელსა და რედაქტორს, მრავალმხრივ ერუდირებულ პიროვნებას, გულისხმიერ, ყურადღებიან და კეთილშობილ ადამიანსა და ხელმძღვანელს, გემოვნებიან ქალბატონს, შესანიშნავ დედასა და არაჩვეულებრივ ბებიას, ჩვენს

თამარ ბერძენიშვილს

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს და წარმატებებს ყველაფერში, რა საქმიანობასაც ხელს მოჰკიდებს.

ვუსურვებთ, ასევე, მრავალ ბედნიერ წელს თავის საყვარელ დიდ ოჯახთან ერთად. დაე, მისი ოჯახის დიდ-პატარა წევრებმა კვლავაც ბევრჯერ გაახარონ თავიანთი წარმატებებით.

ჩვენს თავს კი ვუსურვებთ, რომ გაზეთის კიდევ არაერთი ნომერი გამოგვეცეს ქალბატონი თამარის თაოსნობით.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
გელა ზედელაშვილი, თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასაგალ-დასაგალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99